# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

№ 252 (5593)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


# იყიდე, გაყიდე, რა, ქარვასლაა?

5-6





## საააკაშვილს უნდა, მაგრამ... ეშინია

2

## შადრევანი... ღვაოში?!

3

## რატომ მიდიან ქალები მონასტერში?

14



## ბარემ, ერთი „მამაშაც“ შეუშვან სკოლაში...

8

## ცისუჯი შეურაცხადი ზის!

7

„სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საქართველოსა და უკრაინისთვის დაწესდა ახალი პროგრამა ე. წ. „აიპაპი“, იგი ნატოს წევრობის კანდიდატობასთან მისაახლოებელი გზაა, მაგრამ, „აიპაპიც“ ვერ დავძლიეთ და ამიტომ მხოლოდ ჩვენთვის მოიგონეს ინტენსიური დიალოგის რეჟიმი, რათა ამით მაინც რაიმე მოგვეხერხებინა“



№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი. 2006 წელი.

აქტუალური თემა

# თბილისი მოსკოვს ექსპერიმენტების გამართვას თავის ტერიტორიაზე ურჩევს

**იანვარში, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თაობაზე ახალი გეგმის განხილვა დაიწყება.**

კრემლი საქართველოს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის კონფედერაციული ტიპის სახელმწიფოს შექმნას ურჩევს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამივე სუბიექტი თანაბარუფლებიანი იქნება და ამ გაერთიანებიდან გამოსვლას საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს.

კონფედერაციის შექმნის იდეა რუსეთში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ინგლისურ პრესაში კოსოვოში გაეროს წარმომადგენლის მატიახტი საარის საიდუმლო პროექტი გამოქვეყნდა. შეფარული გეგმის თანახმად, კოსოვო, დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე, სამართავად ევროკავშირს უნდა გადაეცეს. რუსეთი ამ გეგმას იწონებს და საქართველოში მის ამოქმედებას მცირედი სახეცვლილებით გეგმავს.



„მიხედონ თავიანთ ფედერაციას, სადაც ამჟამად ორმოცდაათი სუბიექტია, და, შეიძლება, მალე — ასი გახდეს. ვიწინასწარმეტყველებ იმას, რომ რუსეთის ფედერაცია ძალიან მალე კონფედერაციაც არ იქნება“, — აღნიშნავს „მრეწველთა“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი.

კონფედერაციის სუბიექტებს თანაბარი უფლებები აქვთ — საკუთარი ჯარი, საბაჟო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტი. ამგვარი ექსპერიმენტების ჩატარებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე ურჩევს. „თუ სურს რუსეთს კოსოვოს მოდელი, საკუთარ ტერიტორიაზე შეუძლია გამოიყენოს. ექსპერიმენტებისთვის ძალიან ბევრი ფედერალური სტრუქტურა, ძალიან ბევრი რესპუბლიკა აქვს. ეს მისი გადასაწყვეტია, ჩვენ არ ვერევით რუსეთის საშინაო საქმეებში. ასე თუ გააგრძელებს, რუსეთს შეიძლება კოსოვოს მოდელიც მოენატროს“, — მიაჩნია ნინო ბურჯანაძეს.





ცნობილია, რომ თბილისი სოხუმსა და ცხინვალს გაფართოებულ ავტონომიებს სთავაზობს, რაც სეპარატისტთა ლიდერებს არ აკმაყოფილებს. მოკლედ, იანვარში დუმა კონფედერაციაზე მსჯელობას იწყებს. მაშინვე დაიწყება, ალბათ, კოსოვოს პრეცედენტის განხილვა. გავრცელებული ინფორმაციით, ეს 21 იანვრის შემდეგ მოხდება — მსოფლიო ლიდერები სერბეთში ჩატარებული არჩევნების შედეგებს ელოდებიან.

**მზია გელენავა**

ინფორმაცია

## სამშვიდობო ფორმატი გადასასინჯია

**დსთ-ს სამშვიდობო ძალების საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების შემთხვევაში, წარმოუდგენელია, სამშვიდობო ოპერაციაში ესტონეთმა მონაწილეობა არ მიიღოს.**

**ასეთი განცხადება ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა**



**ურმას პაეტმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გელა ბეჟუაშვილთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.**

**მისივე თქმით, ესტონეთი ევროკავშირის ფარგლებში აქტიურად მუშაობს ამ საკითხთან დაკავშირებით და თუ რუსულ სამშვიდობოებს საერთაშორისო პოლიციური ძალები ჩაენაცვლება, ესტონეთი ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს.**

**ურმას პაეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში არსებული გაყინული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება.**

**ინტერპრესნიუსი**

ოპოზიცია

# სააკაშვილს უნდა, მაგრამ... ეშინია

## არის ამ მსხვერპლშეწირვისთვის მზად ჩვენი ხელისუფლება?!

**ბალტიისპირეთის ქვეყნების ასამბლეამ საქართველოს მხარდასაჭერი საგანგებო რეზოლუცია მიიღო. მასში ნათქვამია, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა საქართველოზე. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დეპუტატები მიიჩნევენ, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობა საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას რეგიონში და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, ობიექტურად შეაფასონ რუსეთის გადაწყვეტილებები, მათი აზრით, ისინი არ შეეფერება დემოკრატიულ სტანდარტებს. ამასთან, ასამბლეამ საქართველოს ნატოში ინტეგრაციას მხარდაჭერა აღუთქვა.**

ქართველ დეპუტატებს სიამოვნებთ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ბოლოდროინდელ დაძაბულ ურთიერთობაზე ევროპის ქვეყნებს ერთმნიშვნელოვანი ჩამოყალიბებული აზრი აქვთ. მიიჩნევენ, რომ რუსეთის ქმედებები იმდენად შემზარავი იყო, რომ სხვაგვარი შეფასება წარმოუდგენელია.

ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერის თაობაზე კი მემარჯვენე მამუკა კაციტაძემ რიგის სამიტზე ლიტვის პრეზიდენტის განცხადებას იხსენებს, როცა იგი მიესალმა საქართველოს ნატოსკენ სწრაფვას, მაგრამ დასძინა, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. რუსეთის სივრცისგან მოწყვეტის და ნატოში ინტეგრაციის მომხრეა ჩვენი ოპოზიციაც, მაგრამ დღევანდელი უნდილი პოლიტიკით ეს პროცესი დროში იწელება. მამუკა კაციტაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ინერტულია, მაგალითად შემდეგი გარემოება მოაქვს.



— სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საქართველოსა და უკრაინისთვის დაწესდა ახალი პროგრამა ე. წ. „აიპაპი“, იგი ნატოს წევრობის კანდიდატობასთან მისაახლოებელი გზაა, მაგრამ, „აიპაპიც“ ვერ დავძლიეთ და ამიტომ მხოლოდ ჩვენთვის მოიგონეს ინტენსიური დიალოგის რეჟიმი, რათა ამით მაინც რაიმე მოგვეხერხებინა. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ვერ ვართმევთ თავს ნატოს მოთხოვნებს.

იმავე რიგის სამიტზე ითქვა, რომ 2009 წლისთვის ნატო ცენტრალური ევროპის ქვეყნების ხარჯზე გაფართოვდება. კაციტაძის აზრით, ასეთ შემთხვევაში საქართველოსთვის ნაადრევია ნატოს კარზე მიკაკუნება. 2009 წლისთვის კანდიდატი ქვეყნებად არ განიხილება არც საქართველო და არც უკრაინა.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის თქმით, საქართველოს ინტერესებშია უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ძლიერ სახელმწიფოთა ერთობაში შესვლა. ნატო ბევრ დათმობაზე მიდის და თავის არეალის გაფართოებას სტრატეგიულად ძალზე რთულ ზონაში ცდილობს. მით უფრო, რომ ახლო აღმოსავლეთში გაურკვეველი ვითარებაა და იმის იქით კი ჩინეთია. კაციტაძის განცხადებით, ნატოს რეგიონში თავისი ინტერესები აქვს. რეგიონში მისი შესვლა კი გაფართოებას გამოიწვევს და გარკვეულ კონტროლსაც გულისხმობს. დეპუტატი იმასაც ამბობს, რომ ნატოს, ამ ინტერესებთან ერთად, საქართველოსგან განსხვავებით, პრინციპებიც აქვს:

— ჩვენი ხელისუფლებისთვის მთავარია თავდაცვის უზრუნველყოფა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ რის ფასად? ეს პრინციპი არსად დევს. საქართველო რომ იმ მაგიდასთან დაჯდეს, რომელსაც ნატოს წევრი ქვეყნები უსხედან, მაშინ მას, იმ სახელმწიფოთა მსგავსად, ნატოს ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად რა უნდა საქართველოს იქ?.. იმიტომ, რომ ორზღვასშუა ტერიტორიაა, თუ იმიტომ, რომ სამხრეთით ირანი და ერაყია?.. მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობის გამო, იქ არავინ დაგსვამს, — თქვა მან.

მისივე აზრით, ხელისუფლებას არჩევანის საშუალება აქვს — ან აირჩევს ამ პრინციპებს და ნატოს დაუახლოვდება, ან — არა. მაგრამ წევრიც რომ გავხდეთ, მკაცრი წნეხის ქვეშ მოვექცევით და ვალდებულებებიც გაგვეზრდება. ამიტომ კაციტაძეს აინტერესებს, ეს ვალდებულებები რამდენად შეუნარჩუნებს სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას ქვეყნის სათავეში ყოფნას.

— ნატოში გაწევრიანების შემდეგ თითქმის ყველა ქვეყანაში შეიცვალა ხელისუფლება. არის კი მზად ამ მსხვერპლთშეწირვისთვის ჩვენი ხელისუფლება?.. ის ორ ცეცხლშუაა — ან ნატო, დემოკრატია და დიდი შანსი ხელისუფლების დატოვებისა, ან ნატოს გარეთ ბინდით მოცულ ვითარებაში ყოფნა. ანუ, სადღეისოდ სააკაშვილს ნატოს მიღმა დიდი არჩევანი არა აქვს, ამავდროულად, მას უნდა ნატოს წევრობა, მაგრამ ეშინია, — დასძინა მამუკა კაციტაძემ.

**ლელა ხვადაგიანი**

პროტესტი

# მსგავსი უზნეო კოდექსი არავისა აქვს

**„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მიღების წინააღმდეგ, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შენობის წინ დღეს მიტინგი გამართა.**

პლაკატებზე ქართულ და ინგლისურ ენებზე ეწერა: — „თავისუფლების ინსტიტუტი გარყვნილებისა და ძალადობის აპოლოგეტია“.

კავშირის წევრები მოითხოვენ, კომისიამ გაითვალისწინოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიმართ მათ მიერ გამოთქმული შენიშვნები, კოდექსს საზოგადოებრივი ჯგუფების მონაწილეობით განიცდიან და არა — დახურულად.

კავშირის წევრის ავთო უნგიაძის განცხადებით, აღნიშნულ კომისიას მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიმართ შენიშვნები ერთი თვის წინათ გადასცეს, მაგრამ პროექტში ისინი გათვალისწინებული არ ყოფილა და, ფაქტობრივად, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებული კოდექსის ვარიანტის განხილვა მოხდა.

— მსგავსი უზნეო კოდექსი არც ერთ ქვეყანას არა აქვს, — აცხადებს უნგიაძე.

როგორც მიტინგზე ითქვა, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ აღნიშნული შენობის წინ კვლავ გამართავს აქციას მრევლისა და მოძღვრების მონაწილეობით, რადგან მათ აქვთ ეჭვი, რომ კომისია ამ კოდექსს დღეს განიხილავს და დაამტკიცებს.

**ინტერპრესნიუსი**



● 23 ნოემბერი, ჯერ ერთი, უწინარესად, გიორგობაა და, მეორეც, ქართველობისთვის ახალი ერა, თუ მაინცდამაინც, 2003 წლის 23 ნოემბერს კი არა, 1989 წლის 9 აპრილს დაიწყო



◎ კრიმინალთა ასამბლეა

# პაატა დავითაია: „ჩვენ ამ ბრძოლას ვაგებთ“...



**აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკები საპარლამენტო ასამბლეის ჩამოყალიბებას აპირებენ. პოლიტიკური გაერთიანების – „ჩვენ თვითონ“ თავმჯდომარე პაატა დავითაია ამ ფაქტს კრიმინალთა ასამბლეის დაფუძნებად ნათლავს.**

ეს მცდელობა, მისი თქმით, ყოვლად მიუღებელია და არანაირი სამართლებრივი ბერკეტები არ აქვს: „სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებმაც მიითვისეს ძალაუფლება, უკვე აშკარად მოქმედებენ და ასეც გაგრძელდება, რადგან საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ არანაირი სახელმწიფო პოლიტიკა არა აქვს შემუშავებული“.

პაატა დავითაიას აზრით, ბალაფში და კოკოითი დამნაშავეები არიან: „ბალაფშმა ღია ეთერით აღიარა რუსეთის მოქალაქეობა, მაშ, მან, რუსეთის მოქალაქემ, ხელისუფლება მიითვისა. კოკოითმა, აგრეთვე, ღია ეთერით აღიარა, რომ ესროლა საქართველოს თავდაცვის მინისტრს. ეს ტერორისტული აქტია, რასაც ჩვენი მხრიდან არანაირი სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია. მხოლოდ მარტივი მაგალითები მომაქვს, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ხალხს ხოცავენ, ხელისუფლებისა და კონსტიტუციური წყობილების რღვევა მიმდინარეობს. არადა, ეს უფრო მნიშვნელოვანია. საქართველოს ხელისუფლება კი ამ ყველაფერზე სახელმწიფოებრივად არ რეაგირებს.

**ამიტომაც უკვე ასამბლეასაც ქმნიან და უარეს ნაბიჯებსაც გადადგამენ. ხომ სასაცილოა დიპლომატიური წარმომადგენლობების გაცვლა? მაგრამ ეს უკვე გააკეთეს. უბედურებაა, რომ მსოფლიო ასეთ სასაცილო ფაქტებს ეჩვევა. თუ ამას ჩვენი მკაცრი რეაგირება არ მოჰყვა, ყოველთვის პრობლემები გვექნება“...**

პაატა დავითაიას თქმით, სეპარატიზმს ხელს უწყობს რუსეთი, მაგრამ, თუ ყოველ ფაქტს სამართლებრივად შევაფასებთ, ძალა კანონშია და შედეგსაც მივიღებთ.

პოლიტიკური ორგანიზაციის – „ჩვენ თვითონ“ თავმჯდომარემ სასაცილო უწოდა მოსკოვის გეგმას კოსოვოს მსგავსად აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფედერაციის შესახებ: **„საქართველოში არავინ მეგულება, რომ ეს გააკეთოს. თუ კონფედერაციული სახელმწიფო ჩამოყალიბდა, მერე შეიძლება იგი დაიშალოს და აფხაზეთმაც თქვას, რომ არ მინდა საქართველოს შემადგენლობაშიო. ასეთი მოწყობა სწორედ გამოყოფის ლეგიტიმური გზაა. რუსეთი ძალზე სუსტად თამაშობს, მაგრამ ამასაც რომ ბედავენ, ცხადია, უკვე სადამდე მივიდნენ...“**

პაატა დავითაიამ აკაკი ასათიანთან ერთად შედგენილი პროექტიც ახსენა, რომლის მიხედვითაც, რეფერენდუმით ითხოვენ სახელმწიფო საზღვრით შეცვლას, რათა ხალხმა გადაწყვიტოს, შეიცვალოს საზღვარი თუ არა (კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო საზღვრის შეცვლა მხოლოდ მეზობელ ქვეყანასთან შეთანხმებით, ორმხრივი ხელშეკრულებით შეიძლება). ეს პროექტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინეს. **„ეს არის სახელმწიფოს დაცვის მექანიზმი“.**

პაატა დავითაიას თქმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა მიმდინარეობს: **„პირდაპირ გეტყვით, ამ ბრძოლაში ჩვენ ვაგებთ, რადგან ერთი და იგივე პოზიციაზე ვართ: მერე რა, მერე რა“...**

ექსპერტს კომენტარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ბრაზილიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუზეც ვთხოვეთ, სადაც ნათქვამია, რომ **„თბილისი ამზადებს საომარ ავანტიურას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“...**

პაატა დავითაიამ ამასაც აბსურდი უწოდა: **„ჩვენ ომისთვის ნამდვილად არ ვემზადებით. სიმართლე გითხრათ, ამაზე გულიც კი მწყდება. გამიხარდებოდა, ასე რომ ყოფილიყო, მაგრამ ასე არ არის...“**

დავითაია ამ ეტაპზე ვითარებიდან გამოსავალს საინფორმაციო ომის მოგებაში ხედავს, მაგრამ, ვინაიდან აფხაზები გამუდმებით თავყრილობებით გვიპირისპირდებიან, ჩვენც, მსგავსი ნაბიჯებით უნდა დავუპირისპირდეთო...

**თამარ შაიშმელაშვილი**



◎ ინფორმაცია

## მურადხანოვი სისულელეს უწოდებს

**საქართველოს პარლამენტის წევრი ქემალ მურადხანოვი საუბარში აზერბაიჯანის ნაციონალური ასამბლეის წარმომადგენლის აბას მურადხანლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს საქართველოს შს მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ოპოზიციისა და ეროვნული უმცირესობების ლიდერებზე პროვოკაციებსა და თავდასხმებს ამზადებს, სისულელეს უწოდებს.**

**„გასარკვევია, რა მიზნები ასულდგმულებს ამ ორგანიზაციას და ვის ინტერესებს იცავს ის“, – განაცხადა მან.**

ჯი-ეიჩ-ენი

## სახელმწიფო რეკეტი

**პარლამენტის წევრი კოკა გუნცაძე მეწარმეებს რეკეტისგან თავის დასაცავად გაერთიანებისა და პარლამენტართა ჯგუფთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.**

**იგი აცხადებს, რომ საჭიროა ამ საკითხის ძირფესვიანად შესწავლა.**

**გუნცაძემ აღნიშნა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გასული სიუჟეტი, რომელიც ბიზნესმენების მიერ სახელმწიფოსთვის ქონების იძულებით ჩუქების საკითხს ეხებოდა, საგანგაშოა.**

**„ეს ყოველივე ძალიან ჰგავს 1929 წელს დაწყებულ განკულაკებას. თუ ბიზნესმენები ხმას არ ამოიღებენ, საბოლოო შედეგები გაცილებით მძიმე იქნება. ამიტომ, პარლამენტართა ჯგუფმა გადავწყვიტეთ, გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ბერკეტი და ბიზნესმენებს საქმის გარკვევაში ხელი შევუწყოთ. მზად ვართ, ვიმოქმედოთ ბიზნესმენებთან შეთანხმებით, თუმცა აუცილებელია, თითოეული დარღვევისას ისინი ჩვენ დაგვიკავშირდნენ “, – აღნიშნა გუნცაძემ.**

## შრილანკელი ყალბი პასპორტით

**ქართველმა მესაზღვრეებმა ყალბი პასპორტით საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის ფაქტზე შრი-ლანკის მოქალაქე დააკავეს.**

**სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, აღნიშნული პირის დაკავება თბილისის აეროპორტში განხორციელდა. დაკავებული რეისზე „ბაქო-თბილისი“ სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს აიყვანეს.**

**სასაზღვრო უწყების წარმომადგენელთა განმარტებით, მესაზღვრეებმა დაადგინეს, რომ შრი-ლანკის მოქალაქე საქართველოში შემოსვლას სინგაპურის მოქალაქის ყალბი პასპორტით ცდილობდა.**

ინტერპრესნიუსი

◎ ბრალდება

## ლეიბორისტები კორუფციაში ადანაშაულებენ

**საქართველოს ლეიბორისტული პარტია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს დიმიტრი ქიტოშვილს კორუფციაში ადანაშაულებს.**

როგორც ლეიბორისტების პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქიტოშვილის უწყებამ ლიცენზია რუსულ კავშირგაბმულობის კომპანია „მეგაფონის“ შვილეულ „აკვაფონს“ 50 მილიონად მიჰყიდა, რომელიც აფხაზეთში თავის საქმიანობას ახორციელებს, ამით აფხაზეთს უკვე თავისი კავშირგაბმულობის კოდი აქვს.

– ქიტოშვილი, სააკაშვილის ხელისუფლებასთან ერთად, ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას ატარებს და ასეთი ქმედებით ისინი რუსულ იმპერიალიზმს ნამდვილად არ ებრძვიან, – აღნიშნა გუგავამ.

გუგავას ინფორმაციით, ქიტოშვილს თვეში 14 000 ლარი აქვს ხელფასი. სატრანსპორტო, სამივლინებო და საკანცელარიო ხარჯებზე კი, 100 ათასობით ლარი იხარჯება. მთლიანობაში ეს, წელიწადში, 10 მილიონ ლარს შეადგენს.

ლეიბორისტების პოლიტიკურმა მდივანმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, დიმიტრი ქიტოშვილს ჩამოართვას ტაბახმელაში მშენებარე სასახლე 5 მეტრიანი გალავნით და იგი მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვთა სახლებს გადასცეს.

ინტერპრესნიუსი

◎ ერიჰა!

# შადრევანი...დეპოში?!

## რად ვამსგავსებთ ერთმანეთს შვიდსა და ოცდასამ ნოემბერს?

**რეპლიკის სათაურმა არ შეგაცდინოთ, მკითხველო. შადრევნების ბუმი კი გვიდგას, მაგრამ დეპოებამდე ჯერ არ მივსულვართ – მანამდე მოედნები, ბაღები, სკვერები, გზაჯვარედინები თუ საამისოდ შესაფერისი უამრავი სხვა ადგილი გვაქვს ასათვისებელი.**

**სათაური კი, უბრალოდ, თამაზ წივწივაძის ერთმა გახმაურებულმა წერილმა გამახსენა, გასული საუკუნის მიწურულს რომ დაბეჭდა და – გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართო“ – დაარქვა.**

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და „გრიშა ბიძიებით“ სავსე ბევრი ვაგონიც მიაბარა „დეპოს“ მათივე ნააზრევებსა თუ ჩვევებთან ერთად.

თუმცა, ეტყობა, მათს ყველა ჩვევას მაინც ვერ შევლევივართ. თუნდაც ასეთს – საზეიმო,მით უფრო, რევოლუციური თარილისადმი რისამე მიძღვნას.

ხომ იხსნებოდა, ამოქმედდებოდა, საექსპლუატაციოდ გადაეცემოდა მაშინ უამრავი სხვადასხვა ობიექტი თუ ქმნილება სწორედ საშვიდნოემბროდ, საყრილობოდ და ა.შ.?

მაშინ, 7 ნოემბერს, „დიდი ოქტომბრისად“ მონათლულ რევოლუციას ვზეიმობდით და მას ვუკავშირებდით ყველაფერს. ახლა კი, 23 ნოემბერს, „ვარდებისად“ მონათლულ რევოლუციას აღვნიშნავთ და ამას ვუძღვნით თუ რამ ახალი გაგვიკეთებია და მოგვიფიქრებია.

სწორედ „ვარდების რევოლუციის“ მესამე წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა 23 ნოემბერს გმირთა მოედანზე ახალი შადრევანიც.

გახსნით კი გაიხსნა, მაგრამ რამდენიმე დღეში კვლავ გადაითხარა იქაურობა: ეტყობა, სიჩქარეში – შადრევანი აუცილებლად ოცდასამი ნოემბრისთვის უნდა ამოქმედდესო – ყველაფრის ხარისხიანად გაკეთება ვერ მოასწრეს.

მერედა, რად ჩქარობდით, თქვე დალოცვილებო, კარგად გაგეკეთებინათ ყველაფერი და მერე გაგეხსნათ!

რაო, ოცდასამი ნოემბრის ნაცვლად 23 დეკემბრისთვის რომ ამოეჩქეფა შადრევანს გმირთა მოედანზე, ამით ვითომ ქვეყანა დაიქცეოდა?

ეჰ, თუმცა მეც რას მივქარავ და არარევოლუციურად ვაზროვნებ! – 23 დეკემბერს რომ გახსნილიყო, მაშინ ეს მოვლენა ხომ ვერ მიეძღვნებოდა თარიღს – „ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს“ – რევოლუციურს!

აკი „გრიშა ბიძიების“ დროინდელი არაფერი გვინდაო?!

**და რაც მთავარია: 23 ნოემბერი მთელი მართლმადიდებელი სამყაროსა და, განსაკუთრებით, ქართველი მართლმადიდებლებისთვის ყველასა და ყველაფრისგან გამორჩეული დღეა – გიორგობაა!**

წმინდა გიორგი ჩვენთვის უპირველესი სალოცავია!

ასე იყო საუკუნეების წინათ და, მჯერა, ასე იქნება აწიც – საუკუნეების განმავლობაში!

**თუმცა ზოგიერთები ცდილობენ, ასე წარმოაჩინონ, თითქოს ეს დღე, უწინარესად, „ვარდების რევოლუციის“, მისი რომელიმე წლისთავის აღსანიშნავი დღე იყოს.**

მერე რა არის ამაში გასაკვირი , 23 ნოემბერს გამარჯვებულმა „ვარდების რევოლუციამ“ ხომ ახალი ერა დაიწყო ჩვენს ცხოვრებაშიო, შეიძლება თქვას რომელიმე რევოლუციონერთაგანმა.

**არაფერი შეგეშალოთ, ბატონებო! თუმცა, ასეც რომ იყოს, 23 ნოემბერი, ჯერ ერთი, უწინარესად, გიორგობაა და, მეორეც, ქართველობისთვის ახალი ერა, თუ მაინცდამაინც, 2003 წლის 23 ნოემბერს კი არა, 1989 წლის 9 აპრილს დაიწყო.**

ამიტომაც, ნურავინ ეცდება, რომ 23 ნოემბერი კომუნისტთათვის სალოცავ 7 ნოემბერს დაამსგავსოს!

რომც ეცადოს, არაფერი გამოუვა..

**აბო შელია**

№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

უნივერსიტეტში უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოს ქომაგი და თავისი პროფესიის მიხედვით აკადემიური განათლების მქონე საზოგადოება; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს საერთაშორისო მასშტაბის თანამედროვე განათლების კერა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო ენაზე დარგობრივი სამეცნიერო აზროვნების განვითარებას.



№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

◎ არჩევნების წინ

# ტარიელ ფუტკარაძე: ჩვენ შეგვიძლია ავაღორძინოთ ახალი ევროპული სტანდარტების უნივერსიტეტი

## გაგაცნობთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატს

*მალე (2007 წ. 5 იანვარს) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ რექტორს აირჩევს. ეს იქნება არა მხოლოდ ქვეყნის ამ უძველესი და უპირველესი სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელის არჩევა, არამედ იმ გეზის გამოკვეთა, რომლითაც უნდა იაროს უნივერსიტეტმა იმ დიდი ცვლილებებისა და რყევების შემდეგ, რაც მან ბოლო წლებში განიცადა.*

*როგორ აქვთ ეს გეზი გააზრებული რექტორობის კანდიდატებს?*

*რექტორობის კანდიდატი რატომღაც მხოლოდ ორია: ამჟამინდელი რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი გიორგი ხუბუა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.*

**ბატონ ტარიელს ერთადერთი შეკითხვით მივმართეთ:**

**— რამ გადაგაწყვეტინათ არჩევნებში მონაწილეობა, რა მიზანს ისახავთ, რა პროგრამა გაქვთ დასახული?**

— ძველთაგანვე ცივილიზაციათა შეხვედრის ველში მყოფმა საქართველომ, თავის წიაღში არსებული ფასეულობების შესატყვისად ქრისტიანული ცნობიერება მიიჩნია; დიდი ქარტეხილების მიუხედავად, ქართველი ერი ინარჩუნებდა ძირითად ევროპულ ღირებულებებს და, ამავე დროს, ესწრაფოდა, გამხდარიყო ევროპული სივრცის ნაწილი, რასაც ხელს უშლიდა რუსეთის იმპერია... დღეს საქართველოს მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდაა აუცილებელი ცხოვრების დაგეგმვა ფუნდამენტური ფასეულობების (სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, პიროვნების თავისუფლება, დემოკრატია, ლიბერალიზმი, ინდივიდუალიზმი, ადამიანის უფლებების დაცვა, კანონისა და კონსტიტუციის უზენაესობა, თავისუფალი ბაზარი, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კომპეტენციების გამიჯვნა...) მიხედვით; ამავე დროს, საქართველოსთვის სასარგებლოა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან ინტეგრაცია, რამდენადაც **ბოლონიის პროცესის სახელით ცნობილი მოძრაობა** ხელს უწყობს, ერთი მხრივ, კვლევისა და სწავლების სიღრმისეულ განვითარებას ეროვნული ენების/კულტურების მიხედვით, მეორე მხრივ კი, სამსაფეხუროვანი სწავლებისა და კრედიტების ტრანსფერის ამოქმედებით, უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას.

**მიმაჩნია, რომ საქართველოს განათლების სისტემის ამჟამინდელი რეფორმა, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მიმდინარე ტრანსფორმაციები ევროპასთან თუ ამერიკასთან უფრო გვაშორებს, ვიდრე გვაახლოებს** (მაგ., მიმდინარე „რეფორმა“ „ბოლონიის პროცესის“ 4 ფუნდამენტური პრინციპიდან სამს კატეგორიულად ეწინააღმდეგება: I. უნივერსიტეტს შეზღუდული აქვს ავტონომია; II. დარღვეულია სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა; III. შეზღუდულია კვლევის თავისუფლება)...

**ჩემი მიზანია,** კონკრეტული არგუმენტების საფუძველზე ვარწმუნო საზოგადოებას, რომ საქართველოში რეფორმის სახელით განათლების სისტემაში იქმნება კლანური („ელიტური“) მმართველობა; **ამავე დროს, კოლეგებთან ერთად წარმოვადგენთ** „ბოლონიის პროცესის“ სწორ ინტერპრეტაციას; **ვფიქრობთ,** უნივერსიტეტის პროფესურასთან ერთად ისე განვსაზღვროთ კავკასიის უპირველესი უნივერსიტეტის რეფორმირების ვექტორი, რომ წინა პლანზე წამოიწიოს როგორც საქართველოს ინტერესები, ასევე, ევროპული სივრცის მიმზიდველობა.

ბოლო პერიოდში უნივერსიტეტში მიმდინარე **საბოიკოტო აქციებითა და არასამართლებრივი, გაუმჭვირვალე ე.წ. კონკურსებით** პროფესორთა დიდი ნაწილი უნივერსიტეტის მიღმა დატოვეს (ან ჩამოაშორეს უნივერსიტეტის მართვის სადავეებს). ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ არცთუ კარგად გათამაშებული სპექტაკლებით უნივერსიტეტს მოწყვიტეს აქტიური და პროფესიონალ ადამიანთა დიდი ნაწილი. კერძოდ, პროფესორთა შერჩევა მოხდა, ძირითადად, განათლების სამინისტროს წარმომადგენლების, ან რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პირადი მოტივებით და არა უნივერსიტეტის საჭიროებებისა თუ კონკურსის მონაწილეთა მონაცემების მიხედვით (ამიტომაც არ შეიქმნა ოფიციალური კრიტერიუმები კონკურსანტთა მონაცემების შესაპირისპირებლად); მაგალითად, ქართული ენის მიმართულებით გამოიყო სრული პროფესორის მხოლოდ 1 შტატი მაშინ, როცა რუსული ენის მიმართულებით დაუშვეს 2 სრული პროფესორის საშტატო ერთეული; შეადარეთ, აგრეთვე: „ეკონომიკის“ მიმართულებით 15 ასოცირებულ პროფესორთან 5 სრული პროფესორი მუშაობს, მაშინ როცა, „ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის“ მიმართულებით, 18 ასოცირებულ პროფესორზე მხოლოდ 1 სრული პროფესორი მოდის. ამგვარი, სუბიექტურობით შერჩეული კონტინგენტის პირობებში ბევრი სპეციალობა სრული პროფესორის გარეშე დარჩა...

მიმაჩნია, რომ ეს ყოველივე დაიგეგმა **აკადემიური საბჭოს დაკომპლექტებისა და რექტორის არჩევნების დროს არასასურველი პირების ჩამოშორების სურვილით...** ჩემი მიზანია, უნივერსიტეტის პროფესურის შერჩევისას ამოქმედდეს „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ (ბოლონია, 1988 წლის 18 სექტემბერი) ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა: **„მასწავლებელთა მოზიდვა და მათი სტატუსის განსაზღვრა უნდა ექვემდებარებოდეს კვლევისა და სწავლების განუყოფლობის პრინციპს“;**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ფაკულტეტთა ე.წ. გამსხვილება არ მომხდარა უნივერსიტეტის ოპტიმალიზაციის, „ბოლონიის პროცესთან“ დაახლოებისა თუ საუნივერსიტეტო სწავლების გაუმჯობესების მიზნით. მიმაჩნია, რომ **ფაკულტეტთა და სპეციალობათა რაოდენობის შემცირება განათლების სამინისტროში დაიგეგმა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლის იოლად სამართავად;** შეადარეთ, მიღებული შედეგები: ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში რექტორს აირჩევს 6 ფაკულტეტის 6 პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში — 6 ფაკულტეტის 12 პროფესორი; მაშინ, როცა გაცილებით პატარა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული 7 ფაკულტეტის 21 წარმომადგენელი აირჩევს რექტორს. ბუნებრივია, არჩევნების დემოკრატიულობის მეტი ხარისხი იქაა, სადაც მეტი თავისუფალი ამომრჩეველია. **ხაზგასმით აღვნიშნავთ:** „ბოლონიის პრინციპების“ გამტარებელ განათლების სამინისტროს არ უნდა დაეშვა გარდამავალ პერიოდში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მონაწილეობა რექტორის არჩევნებში.

**შევნიშნავ:** გარდამავალ პერიოდში აკადემიური საბჭოები დაკომპლექტდა რექტორობისა და დეკანობის მოვალეობის შემსრულებლების „აქტიურობით“; **პარადოქსია:** ამ თანამდებობის პირთა ადმინისტრირების დროს არჩეულმა 6-კაციანმა თუ 12-კაციანმა აკადემიურმა საბჭომ რექტორად უნდა აირჩიოს თავად ამ არჩევნების ორგანიზატორი, რომელიც დანიშნული იყო მთავრობის მიერ; ეს არის დემოკრატიისადმი დაცინვა; **შევადაროთ, გრაცის დეკლარაციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა: „მთავრობებმა უნივერსიტეტებს უნდა მიანიჭონ შესაბამისი უფლებამოსილებანი და გააძლიერონ მათი ავტონომია სტაბილური საკანონმდებლო და ფინანსური გარემოს შექმნით“... შევადაროთ: მთავრობა ასევე აქტიურად იყო ჩარეული** სამეცნიერო გრანტების გაუმჭვირვალე განაწილებაში; საკონკურსო კომისიებში მონაწილეობდნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები... ეს ყოველივე არის დასავლური ფასეულობების სრული იგნორირება. **შედეგიც სახეზეა: მრავალი საუკუნის მანძილზე ევროპული ღირებულებების მატარებელი და ევროპისკენ მსწრაფი ქართველი ერი ამ ბიუროკრატთა მიზეზით უკვე ეჭვით უყურებს ევროპას...**

**რექტორის არჩევნებში ჩემი მონაწილეობით და, მით უმეტეს, გამარჯვებით, ხელი შეეწყობა** უნივერსიტეტის ავტონომიის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას და, ამავე დროს, უნივერსიტეტელთა აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში.

დღეს ევროპაში ხდება განათლების ერთიანი სივრცის ჩამოყალიბება, შესაბამისად, საქართველოშიც აუცილებელია რეფორმა (რაც, პირველ რიგში, სამსაფეხუროვან სწავლებასა და შეფასების საკრედიტო სისტემაზე გადასვლას გულისხმობს); ასევე, საჭიროა, უმტკივნეულოდ მოვიშოროთ საბჭოური დანაშთიც. შესაბამისად, რეფორმა გარდაუვალია, მაგრამ მიუღებელია რეფორმის სახელით განათლების სისტემაში კლანის შექმნა, რომელიც რეალურად დიდად ვნებს საქართველოს ინტერესებსაც და ევროპულ ღირებულებებსაც! ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ის, რაც ბოლო წლების მანძილზე უნივერსიტეტში ხდება, არა მხოლოდ სახელს უტეხს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფორმირებას, არამედ შლის საქართველოს საუნივერსიტეტო ტრადიციას (არადა, გრაცის დეკლარაციაში თუ ბოლონიის პროცესის სხვა დოკუმენტებში ხაზგასმულია ეროვნული უნივერსიტეტების, ზოგადად, კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების პრიორიტეტი)...

ჩვენი მიზანია ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეროვნული ფასეულობების პატივისმცემელი დასავლური ღირებულებების აღდგენა-დამკვიდრება. ჩვენ არ უნდა შევეგუოთ საქართველოს განათლების სისტემის დარღვევას, დანგრევას და ჩამორჩენილი აფრიკული ქვეყნის დონეზე დაყვანას...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის **რექტორის არჩევნებში ჩემი მონაწილეობით,** ჩვენ (მე და ჩემი კოლეგები) შევძლებთ, **სულ მცირე,** უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე ფსევდორეფორმის არსის საზოგადო ანალიზსა და განათლების სისტემის განვითარების ბუნებრივი კალაპოტის წარმოჩენას; **ასევე, შევეცდებით,** დავარწმუნოთ აკადემიური საბჭოს წევრები, რომ ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებით ჩვენ ერთად შეგვიძლია ავაღორძინოთ ახალი ევროპული სტანდარტების უნივერსიტეტი, რომელიც მრავალეროვანი და მრავალკულტუროვანი ევროპული მოზაიკის (რომლის შენარჩუნებასაც ესწრაფვის „ბოლონიის მოძრაობა“) თვითმყოფადი ერთეული იქნება...

**ამდენად ძირითად მიზნად ვისახავ:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესტიჟის აღდგენას, ზოგადკავკასიური მასშტაბის დედაუნივერსიტეტის ფუნქციის დაბრუნებას, საერთაშორისო მნიშვნელობის საგანმანათლებლო კერად და საქართველოს სახელმწიფოსათვის აუცილებელი მძლავრი სამეცნიერო-სასწავლო სისტემის უმთავრეს ბურჯად ქცევას.

უნივერსიტეტში უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოს ქომაგი და თავისი პროფესიის მიხედვით აკადემიური განათლების მქონე საზოგადოება; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს საერთაშორისო მასშტაბის თანამედროვე განათლების კერა, რომელიც უზრუნველყოფს **საქართველოს სახელმწიფო ენაზე** დარგობრივი სამეცნიერო აზროვნების განვითარებას.

**— გაქვთ გამარჯვების იმედი?**

— სხვაგვარად არჩევნებში მონაწილეობას არც მივიღებდი.

ესაუბრა
**სანდრო ალექსიძე**



*ტარიელ ფუტკარაძე დაიბადა 1960 წელს. 1983 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1987 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; ამავე წლიდან მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.*

*1990 წელს რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად დააფუძნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი; იყო მისი ქართული ენის კათედრის პირველი გამგე.*

*1990 წლის 28 ოქტომბერს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. 1991 წლის მარტში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დანიშნა ქალაქ ბათუმის პრეფექტად.*

*1992 წელს დაინიშნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად (ამ თანამდებობაზე მუშაობს დღემდე). ორგანიზატორია დიალექტოლოგთა, ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმისა: „ქუთაისური საუბრები“. 1996 წლიდან მისი რედაქტორობით გამოდის ცნობილი სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“.*

*1998 წლის ნოემბერში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა“. 1999 წლის აპრილში აირჩიეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, 2000 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მიანიჭა პროფესორის წოდება. 1998-2006 წლებში მისი მონაწილეობით განხორციელდა რამდენიმე რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი.*

*2006 წლის აგვისტოდან კონკურსის წესით არჩეულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტის სრულ პროფესორად.*

*გამოქვეყნებული აქვს ენათმეცნიერული ხასიათის 160-მდე სამეცნიერო შრომა (მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები) და 200-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი.*

*ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.*

**სახელმწიფო ქონების მართლზომიერი (მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა) გასხვისება და კერძო საკუთრების ინსტიტუტის საბოლოოდ გაბატონება კიდევ მრავალი წლის მანძილზე იქნება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი და ურთულესი მიმართულება**





# იყიდე, გაყიდე, რა, ქარვასლაა?

*„მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამძღვლად დააქვეითა და დაამდაბლა.“*

**ილია.**



**— დიახ, ქარვასლაა, თავადო ლევან! და მერე იცით, როგორი? ქარვასლა, სადაც, სული და გული, ყველაფერი იყიდება, მამულიც! რაღა თქმა უნდა, ტყეების, ველ-მინდვრების, ტბების, მდინარეებისა და მათზე გამართული ელექტროსადგურების (მერე რამდენის!!) ჩათვლით!**

**ნუ გიკვირთ, თავადო ლევან! ჩვენ ხომ, თქვენს შემდეგ საზოგადოებრივი საკუთრების, ანუ თურმე „უპატრონოების“, ანუ როგორც ჩვენმა სახელმწიფო მინისტრმა ბრძანა, „ბესხოზნოეს“ პირობებში ვცხოვრობდით!**

**ისე, ნუ გვიწყენთ და, მამულის ყიდვა-გაყიდვა თქვენი თაობის დაწყებულია! მაგრამ ამაზე სხვა დროს...**

ერთი სიტყვით, დღეს ყველაფერს, რაც ქვეყანას შემორჩა, პატრონი უნდა გაუჩნდეს, ყვე-ლაფერს! და უჩნდება კიდეც! ჰოდა, მაშინ შესაძლო გახდება ქართული ლექსიკიდან სიტყვა „უპატრონოს“ („ბესხოზნოეს“) ამოღება. მერე რა, ეს სიტყვა რუსების ლექსიკაში რომ დარჩება! ახია მათზე! ჩვენ კი, ჯერ ეკონომიკის მინისტრად ჩამოყვანილი, შემდეგ კი ეკონომიკური რეფორმების დარგში სახელმწიფო მინისტრად ამაღლებული პიროვნება ხომ საქართველოში გვყავს (აი ის, ზემოთ რომ ვახსენეთ).

სწორედ ის 2004 წელს, ე.ი. თავისი პირველი საფეხურის მინისტრობისას დაგვპირდა, რომ საქართველოში 2007 წლის დასასრულამდე სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემას დაამთავრებდა. შემდეგ კი, რადგან არც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და არც მის მინისტრს საქმე რომ არ ექნებათ, გავაუქმებთო (იხ. მისი ინტერვიუ გაზ. „არგუმენტი ი ფაქტის“ 2004 წლის 24-ე ნომერში). მაშინ რას იფიქრებდა ბატონი სახელმწიფო მინისტრი, დღევანდელ კონკრეტულ შემთხვევაში რომ ბატონი გ. არველაძე ახალ თანამდებობაზე თურმე სულაც ერთი წლის ვადით დაუნიშნავთ.

თუმცა ყველაფერი ეს მეორეხარისხოვანია. მთავარი ისაა, როგორც ეს სახელმწიფო მინისტრს სურს დაგვიმტკიცოს, რომ თურმე საქართველოში უპატრონო მალე არაფერი დარჩება!

ვითომ?

აკი ჩვენი სულმნათი ილია ასერთი წლის წინათ ამბობდა: „კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისვლა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“. რას ვიზამთ, ასეთია ცხოვრება! ოღონდ ქონება ხელთ მოვიგდოთ და ძალმომრეობას ვინ ჩივის!

მაგრამ ეს საქმე, თავადო ლევან და თქვენც, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ასე ვარდისფრად სულაც არ ჩანს!

სინამდვილე კი ის არის, რომ სახელმწიფო ქონების მართლზომიერი (მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა) გასხვისება და კერძო საკუთრების ინსტიტუტის საბოლოოდ გაბატონება კიდევ მრავალი წლის მანძილზე იქნება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი და ურთულესი მიმართულება.

აი, ამის შესახებ მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

პირველ რიგში ის უნდა გაუწყოთ, რომ როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-საიტზე განთავსებული ინფორმაციიდან ვიგებთ, ქვეყნის ყველა დარგისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის 1860-ზე მეტი საწარმოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წილები კერძო საკუთრებაში უნდა გადაეცეს, ანუ გაიყიდოს (ძალიან არ მინდა გამოვიყენო სიტყვა „პრივატიზება“, რომელიც ყველას მოგვბეზრდა, თუმცა ცოტა როდია ისეთი, კედელზე მისი ხატი რომ უკიდია).

ეს საწარმოები გაყიდვამდე სხვადასხვა გზით მიდიან.

**საწარმოთა ერთ ჯგუფს როგორც ყოვლად უიმედოს, ლიკვიდაცია უნდა ჩაუტარდეს.** ასეთია 38 საწარმო, რომლის ქონება 8,73 მილიონ ლარს შეადგენს. მათ რიცხვშია, „საქწყალმშენი“ (1,76 მილიონი ლარის საწესდებო კაპიტალით), „საქნავთობპროდუქტი,“ „გაზტექნიკა“, „სპეცტელეკომი,“ შიდა ქართლის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთისა და თბილისის თითიდან გამოწოვილი ორგანიზაციები სახელწოდებით „ავტოტრანსრეგულირება“ და სხვ.

**საწარმოთა მეორე ჯგუფი, გაკოტრების პროცესშია.** ასეთია 8 საწარმო 14,6 მილიონი ლარის საწესდებო კაპიტალით, სადაც სახელმწიფოს წილი 66,7 პროცენტია. ამ ჯგუფშია „საქავიამშენი“, „საქტრაქტორი“, „საქცეოლითი“, ბათუმის თამბაქოს კომბინატი და ღვინის ქარხანა, კომპანია „თხევადი გაზი“ და სხვ.

**ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ საწარმოები,** რომელთა გაკოტრება განზრახულია, თუმცა ეს პროცესი მათთან ჯერ არ დაწყებულა. ესენია სარედაქციო-საწარმოო გამომცემლობა, „თბილსრესი“, ბათუმის „რივიერა“, **შპს „პატრონი“** და სხვ. ეს უკანასკნელი, რომლისთვისაც ძალზე შთამბეჭდავი სახელი დაურქმევიათ, 2000 წლის 15 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ დააფუძნა გარდაბანში. იგი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა, განთავსებულია 18,9 ათასი ლარის ღირებულების 8,6 ათასი კვმ. მიწის ფართობზე, არ გააჩნია სხვა არავითარი ქონება, შემოსავალი არაფერი ჰქონია, გაწეული აქვს 4,5 ათასი ლარის ხარჯები, აქვს 73,9 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება(?) და ჰყავს 3 კაცი (მონაცემები 2005 წლისაა).

ამგვარად „დაფუძნებული“ საწარმოები სხვაც მრავალია. მაგალითად, ამბროლაურში ამავე სამინისტროს დაფუძნებული შპს „სპა“, რომელიც სასტუმრო მომსახურებას ეწევა და 100-პროცენტი სახელმწიფო წილითაა; ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დაფუძნებული 2,33 მილიონი ლარის(!) საწესდებო კაპიტალის მქონე შპს „ს. ა. დ.“ რომელიც მომსახურებითი ხასიათის საქმიანობას ეწევა, დასაქმებულია 22 კაცი და 2005 წელს 1,8 ათასი ლარის მოგება ჰქონდა და სხვ.

ჯერაც დაუდგენელია და შესწავლის საგანია **ნუსხაში ზოგიერთი საწარმოს შეტანის მიზანშეწონილობა.** ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჯგუფია და მასში 170-მდე ისეთი ობიექტი ფიგურირებს, როგორიცაა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ფოთის საზღვაო და ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურები, თბილისისა და სენაკის აეროპორტები, ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი, „ქართული ფილმი“, „ინტერკურორტი“ „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, „საქართველოს საზღვაო სანაოსნო“, „საქენერგო“ და ა.შ. და ა. შ.

ამავე ჯგუფში ფიგურირებს წინანდლის **„საქართველოს ღვინის საგანძური“** 850 ათასი ლარის საწესდებო კაპიტალით. არადა, ეს საგანძური რატომ მილიონები არ ღირს. მისი გაყიდვის იდეა, საფიქრალია, ცუდად აკვიატებული ჩანს!

რა თქმა უნდა, აქ ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი და აგრეთვე სხვა მსხვილი საწარმო (როგორც მათ უწოდებენ — **სტრატეგიული** დანიშნულებისა, თუმცა ღია ეკონომიკის ზოგიერთ თავგადაკლულ დამცველს ძალიანაც არ მოსწონს ეს ტერმინი) მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრივატიზაციის კლასიკური პრინციპებით დასაშვებად ითვლება. ჩვენთან კი ეს ობიექტები კიდევ კარგა ხანს ვერ გაიყიდება იმ აშკარად არსებული მიზეზის გამო, რომ საქართველოს დღევანდელი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების დაცვის ფაქტორების გათვალისწინებით ასეთი თამამი ნაბიჯი სავსებით შესაძლებელია წინდაუხედავი აღმოჩნდეს. იმასაც დავსძენთ, რომ ჩვენი აზრით, სახელმწიფო ქონების ცალკეული (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი) ობიექტების გაყიდვა შესაძლოა რეფერენდუმის საფუძველზეც მოეწყოს. საქვეყნო საკითხი დროდადრო ხალხთან ერთად უნდა განსაჯო!

ამასთან, შესაძლებელია მოხდეს ამ ობიექტების იჯარით გაცემა და არა გაყიდვა. ეს კი, ასე თუ ისე, სხვა რამეა. მაგალითად, ასე გამოცხადდა ბათუმის საზღვაო-სავაჭრო პორტის იჯარით გადაცემა საკონკურსო ფორმით, 49 წლის ვადით მართვის უფლებით. პორტის საწესდებო კაპიტალია 20,6 მილიონი ლარი, დებიტორული დავალიანება — 4,8 მილიონი ლარი, კრედიტორული — 33,6 მილიონი ლარი, საწყისი საიჯარო შესატანი — 35 მილიონი ლარი (მონაცემები 2005 წლისაა). აქ უპრიანია იმის აღნიშვნა, რომ მრავალი სპეციალისტის აზრით, ამგვარი უსაშველოდ ხანგრძლივი ვადის იჯარა ფაქტობრივად გაყიდვის ტოლფასია და მისი გამოყენება შესაძლოა ქვეყნისთვის სავალალო შედეგით დასრულდეს.

არ შეიძლება უშენიშვნოდ დავტოვოთ აქ აპელირებული ციფრობრივი მონაცემების რეალობის საკითხი. საქმე ეხება სახელმწიფო ქონების საწყისი გასაყიდი ფასის მართლზომიერად დადგენას.

საქმე ის გახლავთ, რომ გასაყიდად წარდგენილი სახელმწიფო ობიექტების საწყისი ფასი ყველა შემთხვევაში განსაზღვრულია სოციალისტური ფასწარმოქმნის პირობებში მოქმედი საბალანსო მონაცემების საფუძველზე, შემდგომ (1992-96 წლებში) სახელმწიფოს მიერ დადგენილი კოეფიციენტებით მათი ინდექსირებისა და ამ გზით ვითომ საბაზრო ფასთან მიახლოების მეშვეობით. უფროსი ასაკის მეწარმეებისა და ეკონომისტებისათვის ეს ახალი ამბავი არ არის. ამიტომ დღევანდელ პირობებში ნებისმიერი არახალი ქონების გასაყიდად წარდგენა, რომლის ღირებულება ასეა გათვლილი, რა თქმა უნდა, ამ ქონების საბაზრო ღირებულებისაგან ისე შორსაა, როგორც ცა დედამიწისაგან. მაგალითად, ბათუმის საზღვაო-სავაჭრო პორტის საწესდებო კაპიტალი 12,9 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. არადა, მისი საბაზრო ღირებულება ალბათ მრავალჯერ აღემატება ამ ციფრს (შესაძლოა, ფასდაუდებელიც კი იყოს). ან საპირისპირო მაგალითი: სს „ელვა“, რომლის საწესდებო კაპიტალი 1,3 მილიონი ლარია, საეჭვოა ამ ფასად გაიყიდოს.

ასე რომ, გასაყიდი ქონების ფასს ღია ბაზარი განსაზღვრავს.

ზემოთ გასაყიდად შესასწავლი საწარმოების ნუსხაზე ვსაუბრობდით.

ფრიად საინტერესოა, რომ ამავე სიაში საზღვაო პორტებისა და ჰესების გვერდით ფიგურირებს შპს **„საქართველოს ტბები“** 65,1 ათასი ლარის საწესდებო კაპიტალით, 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით, სადაც 43 კაცია დასაქმებული და 2004 წელს 8,1 ათასი ლარის ზარალი აქვს დაშვებული (მომდევნო წლების მონაცემები არ არის). მისი დამფუძნებელია საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. მონაცემთა ბაზაში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რომელ ტბებზეა ლაპარაკი, ხელოვნურ (სათევზე) ტბორებზე თუ ბუნებრივ ტბებზე.

ამავე ნუსხაში დასახელებულია **„ძაღლსაშენი მეურნეობა“,** რომელსაც არავითარი შემოსავალ-გასავალი არ გააჩნია და 6,5 ათასი ლარის ზარალი აქვს დაშვებული. მონაცემებში მითითებულია, რომ ეს არის აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ნგისაში არსებული ძაღლსაშენი, 6,9 მილიონი(?) ლარის საწესდებო კაპიტალით და სახელმწიფოს 100-პროცენტიანი წილით. სამინისტროს სპეციალისტები ახლა ალბათ იმაზე ფიქრობენ(?), გაყიდონ ეს ობიექტი თუ მის პატრონს შეუნახონ. ამაზე მიუთითებს დასახელებულ ნუსხაში მისი მოხვედრა.

ინტერნეტის ვებგვერდი ცალკე გამოჰყოფს იმ **საწარმოებს, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად არ იყიდება და სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება.**

ამ შემთხვევაში ასეთებია „საქწყალკანალი,“ „საქართველოს ფოსტა“, „საქტელერადიოცენტრი,“ „საქავტოტრანსი“, „საქაერონავიგაცია“, „საქრკინიგზა“, „საქრესენერგო“, „საქსახელექტროსისტემა“, „საქენერგოტრანსი“ და სხვ. სულ 12 მსხვილი ობიექტი. „ამ შემთხვევაში“-თქო კი იმიტომ, რომ ამ ნუსხაში, ჩვენი აზრით, ასევე შესატანია საჰაერო და საზღვაო პორტები, ინგურჰესი, საზღვაო სანაოსნო, ნავთობისა და გაზის კორპორაცია, აგრეთვე, სრულიად სერიოზულად, „საქართველოს ტბები“ (თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ გასარკვევია, თუ რომელ ტბებზეა ლაპარაკი).

საწარმოთა ეს ჯგუფი სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის I ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმად **„მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება“...** საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები, ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი, კავშირგაბმულობა, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები. ჯერჯერობით, ასეა დაფიქსირებული კონსტიტუციაში, სანამ მასში, როგორც იტყვიან, „სათანადო ცვლილებები“ არ შეუტანიათ.

იხ. 6 გვ.

# ყოფა

- ეს ქვეყანა დიდი ქარვასლაა, სადაც ყველაფერს ყიდიან და ყიდულობენ. საქართველო კი მისი ერთი პაწაწინა კუთხეა და აქაც იგივე კეთდება. ამისთვის თავად ლევანს კი არა, მრავალ სხვასაც მოუწევს შეგუება! რას იზამ!
- ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით ექსპერტები ფასების კიდევ უფრო გაზრდას ვარაუდობენ. ასე რომ, შემწვარ გოჭსა და ინდაურზე ბევრს ალბათ მხოლოდ ოცნება რჩება



◎ ჩვენი ეკონომიკის წიაღსვლები

# იყიდე, გაყიდე, ჩა, ქარვასლაა?

**(მეხუთე გვერდიდან)**

თუმცა, თუ სურვილია, ბიზნესის გაკეთება კონსტიტუციის გვერდის ავლითაც შეიძლება, რისი ნათელი მაგალითიცაა სახელმწიფო საბაჟოს გაუქმება და მის ნაცვლად და გვერდით კერძო საბაჟოს შექმნა (თუმცა საბაჟო რეჟიმს კონსტიტუცია მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიაკუთვნებს!), რასაც, საბოლოო ანგარიშით, ერთმა პარლამენტარობა შესწირა, მაგრამ საბაჟო ბიზნესი წარმატებით შეინარჩუნა, მეორემ კი, სულ რომ არავინ აძალებდა, თავი სატუსაღოში ამოჰყო. საოცარია ხომ?

**საწარმოთა მომდევნო ჯგუფია გასაყიდ საწარმოთა ნუსხაში გადასატანად** მომზადებული 26 მილიონი ლარის საწესდებო კაპიტალის მქონე 53 საწარმო.

როგორც თავში ითქვა, გასაყიდ საწარმოთა მთლიანი ნუსხა 1860-ზე მეტ ერთეულს მოიცავს. საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით ზოგიერთ მათგანს დავასახელებ (მონაცემები 2005 წლისაა):

ნუსხა ითვალისწინებს თბილისში, ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე სს **„საქპრესის"** გაყიდვას. სახელმწიფოს წილია მისი საწესდებო კაპიტალის (221 ათ. ლარი) 15 პროცენტი. მის განკარგულებაშია 9,7 ათასი ლარის მიწის ფართობი, საწარმოს, სადაც 337 კაცია დასაქმებული, დაშვებული აქვს 6 ათასი ლარის ზარალი.

გასაყიდათაა წარდგენილი, ასევე, **სს „ქართული ფილმი"** 10,18 მილიონი ლარის საწესდები კაპიტალით, რომლის 66,6 პროცენტი სახელმწიფოს ეკუთვნის. სააქციო საზოგადოებას ჰქონდა 277,4 ათასი ლარის შემოსავალი და 5,1 ათასი ლარის მოგება.

ასევე კონკრეტულ პატრონს ელის შპს თბილისის **„სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი"** (მელიქიშვილის, 1), რომლის საწესდებო კაპიტალი — 1,9 მილიონი ლარი — მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაა. იქ 152 კაცი მუშაობს, ფლობს 97,2 ათასი ლარის მიწის ფართობს, ხოლო მისი საქმიანობა 2005 წელს 188 ათასი ლარის ზარალით დასრულდა.

ასევე, 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაა თბილისში, კოსტავას 14-ში მდებარე **გამომცემლობა „სამშობლო"** 956, 8 ათასი ლარის საწესდებო კაპიტალით, 340 ათასი ლარის მიწის ფართობით, 1,5 მილიონი ლარის საკრედიტო დავალიანებით და 5,7 ათასი ლარის მოგებით. გამომცემლობაში დასაქმებულია 85 კაცი.



გასაყიდათაა გამოტანილი, აგრეთვე გამომცემლობების „განათლებისა" და „ნაკადულის", სანატორიუმ „ლიკანის" (ბორჯომი), აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს, ჩოგოვაძის სახ. საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტის და მრავალ სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წილები.

ზემოთქმული რომ შევაჯეროთ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მართალია, საქართველოში სახელმწიფო საკუთრების დემონტაჟი 1993 წლიდან დაიწყო, მაგრამ ის ათეულ ათასობით პრივატიზებული წვრილი და საშუალო საწარმო ძირითადად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობის და სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებს განეკუთვნებოდა. რაც შეეხება დასახელებული და აგრეთვე ენერგეტიკის, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა დარგების მსხვილ კაპიტალურ საწარმოებს, აქ შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ **საწარმოთა განსახელმწიფოებრიობა ახლა იწყება და ეს პროცესი, სავარაუდოდ, ალბათ წლობით გაგრძელდება, რაც სრულიად ბუნებრივი და სავსებით ნორმალურია.**

ასე რომ, ბატონ სახელმწიფო მინისტრს, რომელმაც რუსეთის ციმბირში წარმატებული ბიზნესი გაიმასქნა, აქ პატარა, მაგრამ ქართულ სახელმწიფოში სახელმწიფო ქონების სწრაფი ყიდვა-გაყიდვა არ გამოუვიდა და ისე ჩანს, დანაქადსაც ვერ ასრულებს: ბატონ გ. არველაძე მინისტრობას კარგა ხანს შერჩება (რა თქმა უნდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თუ სხვა მოტივით არ გააუქმეს).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, პატივცემულო მკითხველო, სრული უფლება გვაქვს თავად ლევანს ვთხოვოთ დამშვიდდეს და მაკარის საჩუქარი მოწყალებით მიიღოს. დიახ, **ეს ქვეყანა დიდი ქარვასლაა, სადაც ყველაფერს ყიდიან და ყიდულობენ. საქართველო კი მისი ერთი პაწაწინა კუთხეა და აქაც იგივე კეთდება. ამისთვის თავად ლევანს კი არა, მრავალ სხვასაც მოუწევს შეგუება! რას იზამ!**

**ამირან გაბისონია**

◎ რა სუფრას მივუსხდებით?

# გოჭები და ინდაურები? შესაწვავად, მაგრამ...

## ახალი წელი გვიახლოვდება

**ჩვენს აგრარულ ბაზრებს საახალწლოდ არც მყიდველი, არც გამყიდველი ადრეც არ აკლდა. ახლა კი, ჯერ კიდევ დეკემბრის შუა რიცხვებში, რომ იტყვიან, ბაზრებში იმდენი ხალხი ტრიალებს, შიგ შესვლაც ჭირს და გამოსვლაც.**

ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, რომ რაც ადრე წლების განმავლობაში არ კეთდებოდა და ამისთვის არც თავს იწუხებდა ვინმე, 2-3 წელიწადში გაკეთდა: შენობების ფასადები შეიღება, გზები, ტროტუარები შეკეთდა, სკოლები, ბაღები, სკვერები წესრიგში მოიყვანეს. ვიცით კი, რამდენი ენერგია, რამდენი თანხა დაიხარჯა ყოველივე ამაზე? ჩვენმა „რევოლუციონერმა" ხელისუფლებამ ეს შეძლო, მნიშვნელობა აღარ აქვს უკვე, „სარეკლამოდ" გაკეთდა, თუ გეგმურად — გაკეთდა და მორჩა! და ამისთვის გულწრფელი მადლობა მას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე დადებითის ფონზე, ხალხის ძირითადი მასის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სულაც არ გაუმჯობესებულა და ეს არ არის უბრალო საქმე. კი, ბატონო, არის უფასო სასადილოები, უფასო მკურნალობა უმწეოთათვის, მაგრამ (ისევ ეს „მაგრამ") **ეს წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, როგორადაც ხალხს უჭირს. დიახ, ხალხს უჭირს, უმუშევრობა კი შემცირების ნაცვლად, იზრდება.**

სადღეისოდ ქუჩაში მოვაჭრეს იშვიათად შეხვდებით, კარგია, რომ „ქუჩის ვაჭრობაც" მოწესრიგდა და სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცა, **მაგრამ იმ გარე მოვაჭრეთაგან, დაითვალა ვინმემ, რამდენი უმუშევარი დარჩა? იზრუნა კი ვინმემ მათზე?** შეიძლება თითო-ოროლა ბაზრებში შეიყვანეს, მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არ არის.

ამბობენ, რომ არის ეკონომიკური აღმავლობა, მაგრამ რატომ ვერ ვამჩნევთ? ეს „აღმავლობა", უპირველესად, ჩვენ ჩვენს ოჯახებში უნდა ვიგრძნოთ, მაგრამ რომ არ არის, რა ვქნათ?

ეკონომიკური ექსპერტები მიუთითებენ, რომ სიღარიბის დაძლევის უტყუარი მაჩვენებელი სამუშაო ადგილების შექმნა და ხალხის დასაქმებაა, რაც ჩვენში, ჩვენდა სავალალოდ, ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. **ასე ქვეყანა ვერ აშენდება — მიაჩნია ხალხის უმრავლესობას.** ამას ემატება ისიც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს სათანადო ხელშეწყობა არ აქვს, რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ დამწყებ ბიზნესმენს ბანკებში სესხს თუ აძლევენ, შედარებით მსხვილ გირაოს ითხოვენ. **რა ქნას კაცმა, რომელსაც სურვილი კი აქვს ბიზნესი კი წამოიწყოს, მაგრამ სათანადო თანხა არ გააჩნია და არც გირაოში ჩასადები ქონება? სწორედ ამის გამოა, ალბათ, რომ საშუალო ფენა ჯერ კიდევ ვერ შეიქმნა, რომ საზოგადოება მარტო მდიდრებად და ღარიბებად, გაყოფილი...**

ახლა იმ ოპერატიული ინფორმაციის შესახებ, რომელიც **სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ფასების სამმართველოს უფროსმა ლია მდინარაძემ** ჩვენი თხოვნით მოგვაწოდა.

**— რა ნიშნულზეა ნოემბერში ინფლაციის დონე და საერთო წლის დასაწყისიდან ამ მხრივ რა ვითარებაა საქართველოში? ფინანსთა მინისტრის ალექსიშვილის თქმით, ეს მაჩვენებელი 6 პროცენტს არ გადააჭარბებს...**

— საქართველოში 2006 წლის ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 101,0 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, ინფლაციის დონემ — 1,0 პროცენტი. წლის დამდეგიდან კი სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 7,9 პროცენტით გაიზარდა.



**— რა ფაქტორებმა იქონიეს გავლენა ინფლაციის დონის მომატებაზე?**

— წლეულს ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ფორმირებაზე როგორც ზრდის, ასევე კლების მიმართულებით, რამდენიმე ფაქტორმა იქონია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. კერძოდ, სურსათზე სამომხმარებლო ფასების ზრდა ალკოჰოლიან სასმელებზე, თამბაქოსა და საწვავზე ფასების შემცირებამ დააბალანსა.

**— ძირითადად, რა გაძვირდა და რა გაიაფდა?**

— უპირველეს ყოვლისა, ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასები გაიზარდა სურსათზე საშუალოდ 2,6 პროცენტით, მათ შორის გაძვირდა ხორბალი — 18,6 პროცენტით, ხორბლის თეთრი ქერხნის პური — 3,4 პროცენტით (მათ შორის, თბილისში — 2,3 პროცენტით, ბათუმში — 7,5 პროცენტით, ხოლო გორში — 7,0 პროცენტით), რუხი პური — 3,3 პროცენტით, ხორბლის ფქვილი — 4,1 პროცენტით, ყველი — 3,4 პროცენტით. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულზე—საშუალოდ 4,0 პროცენტით, გაძვირდა ბადრიჯანი — 100,4 პროცენტით, სტაფილო — 30,5 პროცენტით, ჭარხალი — 25,5 პროცენტით.

ამასთან ერთად, სამომხმარებლო ფასები შემცირდა შაქარზე — 1,2 პროცენტით, ალკოჰოლიან სასმელებზე — 0,4 პროცენტით და თამბაქოს ნაწარმზე — 1,1 პროცენტით.

ასევე ნოემბერში ოქტომბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები შემცირდა საწვავზე 3,0 პროცენტით. მათ შორის ბენზინი ქვეყანაში გაიაფდა საშუალოდ 4,6 პროცენტით (თბილისში — 5,1 პროცენტით, ქუთაისში — 3,0 პროცენტით, გორში — 3,8 პროცენტით, ხოლო ბათუმში — 6,7 პროცენტით) და დიზელის საწვავი საშუალოდ 1,7 პროცენტით (მათ შორის თბილისში — 2,1 პროცენტით, გორში — 1,3 პროცენტი, ბათუმში — 1,2 პროცენტით, ხოლო ქუთაისში — 0,2 პროცენტით).

**— შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით როგორია ინფლაციის დონე?**

— 2006 წლის ნოემბერში 2005 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 107,9 პროცენტი შეადგინა, ეს იმას ნიშნავს, რომ ინფლაციის დონე ამ პერიოდში 7,9 პროცენტია.

მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის 7,9-პროცენტიანი ზრდა ძირითადად განაპირობა სურსათზე ფასების ზრდამ საშუალოდ 11,8 პროცენტით. მათ შორის ბოსტნეულზე — 19,0 პროცენტით, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე — 11,6 პროცენტით, ხილზე — 25,0 პროცენტით და შაქარსა და სხვა საკონდიტრო ნაწარმზე — 12,4 პროცენტით.

მიმდინარე წლის ნოემბერში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის მომსახურების ნაწილში ფასები გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვაზე — 16,1 პროცენტით, სატრანსპორტო მომსახურებაზე 2,4 პროცენტით, ხოლო სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების მომსახურებაზე — 7,4 პროცენტით.

**რა იქნება ხვალ-ზეგ, ამის თქმა ძნელია. მით უმეტეს მაშინ, როცა ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით ექსპერტები ფასების კიდევ უფრო გაზრდას ვარაუდობენ. ასე რომ, შემწვარ გოჭსა და ინდაურზე ბევრს ალბათ მხოლოდ ოცნება რჩება და... ცარიელი ქისა... ყოველ შემთხვევაში გადაინახეთ მაინც, თუ იქ კიდევ რაიმე ჩხრიალებს. ჩხრიალებს კი?!..**

**ახალი წელი კი გვიახლოვდება...**

**ნაზი იმნაიშვილი**

# ჩვენ

● ზუგდიდში იანვარში ექსპლუატაციაში შედის იტალიელი ინვესტორის აშენებული თხილის ქარხანა, რომელიც ადგილზე მიიღებს, დაამუშავებს და შემდგომ გამოუშვებს პირდაპირ ქსელში გასაყიდ პროდუქციას. ასევე სოფელ ნარაზენში შენდება საკონსერვო დანიშნულების გადამმუშავებელი ქარხანა, სადაც სამასზე მეტი მუშახელი დასაქმდება



◉ ადგილობრივი თვითმმართველობა

# ზუგდიდის ღირსება ზუგდიდელების საზრუნავია

*ვახტანგ ცხადაია ქალაქ ზუგდიდში დაბადებული და გაზრდილი კაცია. სიტყვა-პასუხითა და ქცევა-მანერითაც ეტყობა, რომ ნაღდი ქალაქელია, მაგრამ იმავდროულად, თავისი პატიოსნებით, ალალმართლობითა და პირდაპირობით სოფლის მოამაგე გლეხკაცსაც მოგვაგონებს. საერთოდ კი ჩინებული, ტიპური ქართველი კაცია. წლების განმავლობაში სოფლად თუ ქალაქში მუშაობისას უღალატო კაცის სახელი მოუხვეჭია. სხვადასხვა დროს იყო ოსტატი, სამუშაოთა მწარმოებელი, სამმართველოს უფროსი.*

*სამოქალაქო ომის წლებში განსაკუთრებით გულთან მიჰქონდა არა მარტო ზუგდიდელთა, არამედ სრულიად საქართველოს ჭირ-ვარამი. 1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე აირჩიეს ქალაქის საკრებულოს წევრად. მაშინ მას ბევრი განსაცდელი გადახდა, მაგრამ ობიექტურობისათვის წუთითაც არ უღალატნია და საკრებულოს ზოგიერთ „არც მიწისა ვარ, არც ცისა“ წევრს ყოველთვის ღირსეულ პასუხს აძლევდა.*

*„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ვახტანგ ცხადაია ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის რაიონულ ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში, და კიდევ ერთხელ საჯაროდ დაადასტურა თავისი ორგანიზატორული და შემოქმედებითი უნარი. წლეულს კი ერთსულოვნად აირჩიეს ჯერ ზუგდიდის საკრებულოს წევრად, ხოლო შემდეგ — თავმჯდომარედ.*

*საქართველოს სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორია კოლხეთიდან იწყება, რომლის მემკვიდრედაც სამართლიანად ითვლება სამეგრელო. სამეგრელოს გული კი ზუგდიდია, რომელმაც თავისი კუთვნილი ადგილი ღირსეულად უნდა დაიმკვიდროს ქვეყანაში. სწორედ, ამისთვისაა მოწოდებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული საკრებულო. ხალხს ეიმედება ბატონი ვახტანგი.*

*იგი გულღიად გვესაუბრება თავის სამომავლო გეგმებზე.*

— 2006 წლის 5 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დამაჯერებლად გაიმარჯვა. არჩეულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო 41 წევრის შემადგენლობით.

საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა და მასში ყველა პროფესიის ადამიანები არიან: იურისტები, ეკონომისტები, ექიმები, ინჟინრები და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკრებულოს ზნეობრივ-ინტელექტუალური პოტენციალი იმდენად სოლიდურია, რომ დადებითად აისახება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.

საკრებლოში მოქმედებს ოთხი დარგობრივი კომისია სამანდატო-იურიდიული; საფინანსო-საბიუჯეტო; სოციალურ-ეკონომიკური და სარევიზიო. უეჭველია, რომ კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტებული კომისიების ზედამხედველობა და კონტროლი, ფაქტობრივად, განაპირობებს მთელი საკრებულოს სწორ ორიენტაციასა და გამართულ მუშაობას.

**— საქართველოში ხელისუფლების ორსაფეხურიანი მოდელი შემოვიდა. რამდენად მისაღებია ხალხისთვის იგი?**

— წინა წლებში თვითმმართველობა რეალურად ვერ განახორციელებდა მასზე, დაკისრებულ მოვალეობებს. ახლა — პირველი დონის საკრებულოების (სოფლის საკრებულოებსძ გაუქმება და თითოეული ტერიტორიული ერთეულიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი დეპუტატი, ფაქტობრივად, იმის გარანტიაა, რომ საბიუჯეტო სახსრები დანიშნულებისამებრ მივიდეს ადგილამდე და კანონით გათვალისწინებულ ნორმებში დაიხარჯოს. ასეთი პრინციპით მუშაობა, ვფიქრობ, ხალხისთვის მისაღებია და ამიტომ დღევანდელი სტრუქტურული ფორმა ნამდვილად სიცოცხლისუნარიანია.

**— დროებით ჩვენს სასაუბრო თემას გადავუხვევ და ერთ მეტად გახმაურებულ საქმეზე შეგეკითხებით: ქალაქის ბაზრის მთავარი შესასვლელი კარის გალებას საშველი არ დაადგა. მართალია, სასამართლო დადებით გადაწყვეტილებებს იღებს, მაგრამ სასურველი შედეგი არა და არ ჩანს...**

— დიახ, როგორც ვიცი, ეს საკითხი არაერთხელ იყო სასამართლო დავის საგანი, სათანადო იურიდიული გადაწყვეტილებაც მიიღეს. რაც არ უნდა მოხდეს, ყველა შემთხვევაში, უნდა აღსრულდეს სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება.

ყოველნაირად შევეცდები კანონიერების დაცვას. ამის მოწმე ყველა იქნება.

**— ემილ ზოლა ამბობდა, ცხოვრება იმ ფერისაა, რა ფერშიც გინდა, რომ დაინახო. თქვენ რა ფერში ხედავთ ზუგდიდის მოსახლეობის ცხოვრებას?**

— პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლების მოსვლა მოსახლეობამ აღიქვა აღმშენებლობის, ქვეყნის ერთიანობის, უმძიმესი სოციალური პრობლემების გადაჭრის გარანტად. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის გაკეთება ერთდროულად შეუძლებელია, მაგრამ უკვე გადაიდგა პირველი წარმატებული ნაბიჯები. კეთდება გზები, შენდება საცხოვრებელი სახლები, შადრევნები, სკვერები, ბაღები, დასასვენებელი პარკები, კეთილმოწყობილი სავაჭრო ობიექტები, სულ უფრო ნათდება ქალაქის ქუჩები, ხარისხიანი რემონტი უკეთდება სკოლებსა და საბავშვო ბაღებს.

ბუნებრივია, ეს ყოველივე ნიშანია იმისა, რომ მომავალში უფრო დამშვენდება და განვითარდება ქვეყნის ინფრასტრუქტურა. ჩვენი რაიონი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის მოსაზღვრეა, სამ წელიწადში აქ არსებული უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაციის ერთგვარი გამოსწორება ჩვენი სამართალდამცავების დიდი შრომისა და პროფესიონალიზმის შედეგია. ახლა, ჩვენდა სასიხარულოდ, ღამის ნებისმიერ დროს არავის ეშინია ქუჩაში გავლისა, რადგან საპატრულო პოლიცია თავის მოვალეობას ბეჯითად ასრულებს.

უმუშევართა დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ამ მიზნით ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ხელისუფლებისთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო. ამ მიმართულებით ზუგდიდის რეგიონიც არ დარჩენილა უყურადღებოდ. ზუგდიდში იანვარში ექსპლუატაციაში შედის იტალიელი ინვესტორის აშენებული თხილის ქარხანა, რომელიც ადგილზე მიიღებს, დაამუშავებს და შემდგომ გამოუშვებს პირდაპირ ქსელში გასაყიდ პროდუქციას. ასევე სოფელ ნარაზენში შენდება საკონსერვო დანიშნულების გადამმუშავებელი ქარხანა, სადაც სამასზე მეტი მუშახელი დასაქმდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად, ფაქტობრივად, არ არსებობს არც ერთი პრეტენზია პენსიებისა და ხელფასების დავალიანებაზე. თუმცა მათი ოდენობა, ჯერჯერობით, სასურველზე საგრძნობლად დაბალია. აი, ეს გახლავთ ამ მოკლე დროში ხელისუფლების მიერ განხორციელებული სასიკეთო ცვლილებები. ყოველივე ამას შესანიშნავად ხედავს ჩვენი გონიერი ამომრჩეველი, რაც ნაციონალური მოძრაობისადმი კეთილ დამოკიდებულებაში გამოიხატება, აქედან გამომდინარე, მომავალს იმედით ვუყურებ. მჯერა, რომ ერი და ბერი ერთი აზრით იქნება შემართული — ქვეყნის გაერთიანება და კეთილდღეობა.



დაბოლოს, ზუგდიდელთა ცხოვრება მწვანე ფერში მესახება, რაც სიცოცხლესა და აღმასვლას ნიშნავს.

**ამ ინტერვიუს დამთავრების შემდეგ ანაზდად გამახსენდა ორი წლის წინათ სენაკში ჩატარებული მასშტაბური ღონისძიებებიდან დაბრუნებისას ვახტანგ ცხადაიას მიერ ჩემთვის ნათქვამი სიტყვები: ზუგდიდი ძველი, ორიგინალური ტრადიციების ქალაქია, ამიტომ მას ზუგდიდელებმა ერთად დგომით უნდა მოვუაროთ.**

**ვახტანგს ძალუძს ზუგდიდელთა ერთ მუშტად შეკვრა და დასახული მიზნების საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელება.**

ესაუბრა
ოდიკ ქუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

◉ ერიჰა!

# ციხეში შეურაცხადი ზის?

**2006 წლის თებერვალში პოლიციამ 25 წლის ალექსანდრე გველესიანი დააკავა. მან ავტობუსის მძღოლის წინ დაყრილი ხურდა აკრიფა, გაჩერებაზე ჩავიდა და გავშვებისათვის დარიგება დაიწყო. მძღოლმა პატრულს უხმო. მათ გველესიანი პოლიციაში წაიყვანეს.**

გაირკვა, რომ გველესიანს გადატანილი აქვს უმძიმესი ავადმყოფობა — ტუბერკულოზიური მენინგიტი, რომელმაც დაუტოვა ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების მყარი ნარჩენი მოვლენები. ამის გამო იგი 2000 წლიდან აყვანილია ფსიქიატრიულ ინსტიტუტში აღრიცხვაზე, როგორც შეურაცხადი. ისიც გაირკვა, რომ მსგავსი ქმედებებისათვის იგი ორჯერ არის ნასამართლევი და ორივეჯერ მისჯილი აქვს იძულებითი სტაციონარული მკურნალობა. მაგრამ იმის გამო, რომ ყველაფერი ფასიანი გახდა, ხოლო გველესიანი ხელმოკლე ოჯახიდანაა, სასამართლო დადგენილება ფარატინა ქაღალდად დარჩა.



გველესიანის დაკავების შემდეგ გამოძიებამ საჭირო მტკიცებულებად არ ჩათვალა ძველი ექსპერტიზის დასკვნები (მხედველობაში ჰქონდათ სკანდალი ფსიქიატრიულში, როდესაც ეჭვქვეშ დადგა მათ მიერ გაცემული ცნობების სანდოობაძ. დაკავებულს კვლავ ჩაუტარდა ექსპერტიზა. დიაგნოზი წინა ექსპერტიზების დიაგნოზის იდენტურია. განსხვავება რატომღაც დასკვნაშია. ახალმა ექსპერტმა გველესიანი შეურაცხადის ნაცვლად შეზღუდულ შეურაცხადად ცნო. ამავე დასკვნით იგი ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების გამოყენებას, რომელთა მიხედვითაც მოსამართლეს უფლება აქვს, პატიმრობა შეუცვალოს იძულებითი მკურნალობით.

მიუხედავად დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სასამართლომ მაინც ჩათვალა მიზანშეწონილად მისი სხდომაზე გაყვანა. გველესიანის ადვოკატმა მოითხოვა დასკვნის გამცემი ექსპერტის სასამართლოზე მოყვანა და ჩვენების მიცემა. სასამართლოზე მოსულმა კვლავ დაადასტურა მის მიერ გაცემული დასკვნა გველესიანი შეზღუდულ შეურაცხადად ცნობის თაობაზე. კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ერთდაიგივე დიაგნოზზე სხვადასხვა დასკვნების გაცემა, ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს მისი სუბიექტური მოსაზრებაა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ექსპერტმა იქვე დაამატა, რომ ეს ავადმყოფობა სპეციფიური და განუკურნებადია. იგი თვითონ შევიდა სასამართლოს წინაშე შუამდგომლობით, რომ განსასჯელს მიესაჯოს არა პატიმრობა, არამედ იძულებითი მკურნალობა.

ჩვენმა სასამართლომ არ გაითვალისწინა შუამდგომლობები და გველესიანს მიუსაჯა წინასწარი პატიმრობა №5 საპყრობილეში მოხდით.

განსასჯელის მხარემ სასამართლოსგან დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების უფლება მოითხოვა, რაც მიიღო კიდევაც. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის პასუხი სასამართლოს ხელთ არ ჰქონია, მან მაინც მიუსაჯა შეურაცხადს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. ამის უფლებას იძლევა ახალი საკანონმდებლო ნოვაცია.

დაკავებულის ახლობლებმა დიაგნოზის დასასმელად დამოუკიდებელი ექსპერტი მოიყვანეს. მოულოდნელად გაჩნდა ახალი პრობლემა, მისი პატიმართან შეხვედრისა. „საპყრობილის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ განსასჯელის უცხო პირთან შეხვედრის ორგანიზების უფლება მათ არა აქვთ და ეს სასამართლოს პრეროგატივაა. მოსამართლემ კი გველესიანის მხარეს განუცხადა, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლება მათ აღარ აქვთ.

ვიდრე ბრალდებულის ახლობლები არკვევენ, თუ ვის აქვს მსგავსი ნებართვის გაცემის უფლება, შეურაცხადი კაცი ციხეშია გამომწყვდეული.

**საზოგადოებაში დადის ხმები მსგავსი შემთხვევების არსებობის შესახებ, მიუხედავად ამისა, მოქალაქეები გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ერიდებიან ამგვარ ფაქტებზე ხმამაღლა ლაპარაკს. თუმცა, სიჩუმე უშველის ამ საქმეს? პრობლემა ხომ უნდა მოგვარდეს, საკითხი ხომ უნდა გაირკვეს, კანონი ხომ უნდა გასწორდეს?**

ზაზა ბილიხოძე

№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

**შეიქმნა სექსოლოგიის სახელმძღვანელო დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. სანდო წყაროებიდან ისიც გახდა ცნობილი, რომ ჩვენი ბავშვების „აღზრდა“ ამ თვალსაზრისით უფრო ადრეული, საბავშვო ბაღის ასაკიდან უნდა დაიწყოს**



№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

ინფორმაცია

## სამინისტროდან — დეპარტამენტში

სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. თანამშრომლებს ახალი თავმჯდომარე ზვიად ჭეიშვილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა წარუდგინა.

ზვიად ჭეიშვილი ამ სამინისტროს მდგრადი განვითარების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

გარემოს დაცვის მინისტრის განცხადებით, ზვიად ჭეიშვილი ახალი კადრი არ არის, მას სამინისტროში კარგად იცნობენ. მისივე თქმით, სამინისტროში, სწორედ ჭეიშვილის დროს, ეფექტიანად ამოქმედდა ლიცენზირების და ნებართვების გაცემის სისტემა.

სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე შალვა ჯავახაძე კი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრს უხელმძღვანელებს.

ინტერპრესნიუსი

## გარნიზონის ქონება ჩაგვითვალეს

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ამიერკავკასიის ჯარების თბილისის გარნიზონის კუთვნილ ქონებას საქართველოს გადასცემს. ეს პროცესი უკვე დაიწყო და 25 დეკემბერს დასრულდება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გარნიზონის საწყობები, ავტოსადგომები და ჰოსპიტლის შენობა გადაეცემა. მომავალ კვირას სომხეთში, გიუმრის სამხედრო ბაზაზე თბილისიდან რუსული სამხედრო პერსონალიც გაემგზავრება. ამიერკავკასიის ჯარების თბილისის შტაბის ოფიცერთა შემადგენლობიდან საქართველოში მხოლოდ 15 სამხედრო დარჩება. ისინი ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების გაყვანის პროცესს უხელმძღვანელებენ.

## ბესო კეკუსანძე გაათავისუფლეს

აფხაზეთის ხელისუფლების მიერ წელიწადნახევრის წინათ დაკავებული ხობის რაიონის მცხოვრები ბესო კეკუსანძე გაათავისუფლეს.

იგი წელიწადნახევარი დრანდის ციხეში იხდიდა სასჯელს აფხაზეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და საპასპორტო რეჟიმის დარღვევის გამო.

რეალურად კი ბესო კეკუსანძე აფხაზებმა რუსი სამშვიდობოების დახმარებით, ენგურის ხიდზე დააკავეს და მათივე მანქანით აფხაზეთში გადაიყვანეს.

კეკუსანძემ, თავისუფლების სანაცვლოდ, 3 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა.

ХО-ЭЙ-ЭН

პრობლემა

# „ბარემ, ერთი „მამაშაც“ შეუშვან სკოლაში“...

*ამ რამდენიმე დღის წინათ საინფორმაციო საშუალებებით კიდევ ერთი ახალი ამბავი „გვახარეს“: შეიქმნა სექსოლოგიის სახელმძღვანელო დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. სანდო წყაროებიდან ისიც გახდა ცნობილი, რომ ჩვენი ბავშვების „აღზრდა“ ამ თვალსაზრისით უფრო ადრეული, საბავშვო ბაღის ასაკიდან უნდა დაიწყოს.*

*ჩნდება უმარტივესი კითხვა: სჭირდება თუ არა ასეთი სახელმძღვანელო 7-8 წლის ბავშვს, რომელიც სამყაროს აღქმას მხოლოდ ახლა იწყებს, თუ ეს „კეთილშობილური ღონისძიება“ მავანთა ჯიბეების გასქელებას შეუწყობს ხელს? — ამ კითხვაზე ყველაზე უფრო ამომწურავ პასუხს ჩვენი მოქალაქეები გასცემენ:*

**იოსებ რატიანი (30 წლისა):**

— რა თქმა უნდა, უაზრობაა პირველი და მეორე კლასის ბავშვს ამგვარი სახელმძღვანელო შეუტანო გაკვეთილზე და ასწავლო. ქართველი ბავშვები ილიას, აკაკის, ვაჟას შემოქმედებას უნდა სწავლობდნენ და არა რაღაც სიბინძურეს, რომელიც შეუსაბამოა ამ ასაკისათვის, ქუჩის დონეზე არ უნდა მოხდეს ბავშვთან ამგვარი საკითხების მიტანა.

**ირინე შაოშვილი (33 წლისა):**

— ყველანაირად ვეცდებით, რომ რაღაც პროტესტი გამოვხატოთ მშობლებმა, თუ ჩვენს შვილებს ამგვარი სახელმძღვანელოებით „გაანათლებენ“. ჩემი შვილი უკვე 14 წლისაა, სულ არ მინდა გაკვეთილებზე იჯდეს და რაღაც ამორალურზე გაუთვითცნობიერებლად ფიქრობდეს. არავის არ გვისწავლია სკოლაში მსგავსი საგნები, მაგრამ შვილებიც გავვიჩენია და ოჯახებსაც ვუვლით.



ან რომელი ჭკუათმყოფელი მასწავლებელი შევა კლასში და ასწავლის ბავშვებს საგანს, რომელიც არც ცოდნას შესძენს მათ, არც ზნეობრივად აამაღლებს და არც ინტელექტუალურად...

**ლალი სიხარულიძე (57 წლისა):**

— ევროპასა და ამერიკაში ბევრი რამ არის კარგი და მისაბაძი, ბევრი კი — ცუდი. ჩვენ, რატომღაც, ყველაფერი ცუდი უნდა გადმოვიღოთ. რატომ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს ის, რისი სწავლაც არ არის ამ ასაკში აუცილებელი?

25 წელი ვიმუშავე თარჯიმნად, 70-იან წლებში შემეძლო გერმანიაში დარჩენა, მაგრამ რომ ვაკვირდებოდი იქაურებს და ვადარებდი ჩემს აქაურ ნაცნობ-მეგობრებს, ვერ წარმომედგინა როგორ უნდა დამეტოვებინა ჩემი ქვეყანა. ახლა კი, მგონი, ყველას ვაჯობეთ უზნეობაში.

მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო ამდენი ლაპარაკი პათოლოგიურ გადახრებზე, სექსუალურ უმცირესობებზე. 70-იან წლებში თბილისში სულ რამდენიმე ნარკომანი იყო, იმდენი ილაპარაკეს ნარკომანიაზე, რომ დღეს ყოველი მესამე გოგო თუ ბიჭი ნარკომანი გახდა. არც ის არის აუცილებელი, ჩვენმა ბავშვებმა უდროო დროს გაიგონ ის, რაც მათთვის ნაადრევი და მიუღებელია.

**მედეა გვანცელაძე (55 წლისა):**

— ჩვენი მამა-პაპა როგორც გაიზარდა, ისე უნდა გაიზარდონ ჩვენი შვილებიც. ჩვენს წინაპრებს სექსოლოგიის გაკვეთილებს თუ არ უტარებდნენ, შთამომავლობას ვერ ტოვებდნენ? პირიქით, ადრეულ ასაკში სექსის ზედმეტი პროპაგანდა იმპოტენციას იწვევს!

**ქეთინო ქარდავა (46 წლისა):**

— ახალი ჩამოსული ვარ საქართველოში. 6 წელიწადი საზღვარგარეთ გავატარე, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავს. აქ არანაირი კონტროლი არ არის დაწესებული ტელევიზიაზე და არც ჟურნალ-გაზეთებზე. ერთი მითხარით, რა აუცილებელია 7-8 წლის ბავშვებს ასწავლიდნენ ამგვარ საგნებს, მათი ფსიქიკა ხომ აბსოლუტურად ჩამოუყალიბებელია?

შეიძლება მაღალი კლასებისათვის შეიქმნას მსგავსი სახელმძღვანელო. ზომიერების ფარგლებში, 15-16 წლის ასაკიდან, ნამდვილად აუცილებელია მოზარდთა სექსუალური აღზრდა, მაგრამ პირველი და მეორე კლასში სექსოლოგიის სწავლება ყოვლად დაუშვებელია!

**დათო იაკობაშვილი (35 წლისა):**

— აბა, რა გითხრათ? მეც მცირეწლოვანი შვილის მამა ვარ. ბარემ, ერთი „მამაშა“ შეუშვან სკოლაში, და ის დანიშნონ დირექტორადაც, მასწავლებლადაც... მე პირადად, არ გავუშვებ შვილს ისეთ სკოლაში, სადაც სიკეთის, პატიოსნებისა და ჭეშმარიტი ზნეობის ნაცვლად, აშკარა უზნეობას ასწავლიან.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ხიდები

## ორმხრივად სასარგებლო

საქართველოსა და ესტონეთს შორის „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ“ ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულებას ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურმას პაეტმა და საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა მოაწერეს ხელი.



ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გელა ბეჟუაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ესტონეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანაა და ეს ურთიერთობები წლების განმავლობაში დინამიურად ვითარდებოდა.

მისივე თქმით, ხელშეკრულება ინვესტიციების მოზიდვას და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ითვალისწინებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, 2007 წლისთვის იგეგმება ორ სახელმწიფოს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმება, რაც ინვესტიციების დაცვას გულისხმობს.

გელა ბეჟუაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესტონეთი მხარს უჭერს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას. ასევე მნიშვნელოვანია ესტონეთის დახმარება ევროკავშირის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, მინისტრის თქმით, საქართველო მომავალი წლიდან გეგმავს სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან გააღრმავოს და გააქტიუროს ორმხრივი ურთიერთობები.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ევროპისთვისაც. მისივე აზრით, მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული გაყინული კონფლიქტების მოგვარება.

## ბეჟუაშვილმა მოუწოდა

საქართველო მოუწოდებს აფხაზებსა და ოსებს, ქართველებთან ერთად, ერთიან სახელმწიფოში ერთიანი მომავალის ჩამოყალიბებაზე იფიქრონ, — ასეთი კომენტარი გააკეთა მოსკოვში მიმდინარე დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითალიარებული რესპუბლიკების წარმომადგენლების შეხვედრის თაობაზე საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მისივე თქმით, ამ შეხვედრის მიზანი არ არის ცნობილი და მნიშვნელოვანია, რომ ოსებმა და აფხაზებმა ქართველებთან ერთად იფიქრონ ერთიან ქართულ სახელმწიფოს შემადგენლობაში ევროპის ნაწილად გახდომის შესახებ.

„საქართველო ევროპის ნაწილი აუცილებლად გახდება. აფხაზმა და ოსმა დღევანდელმა ლიდერებმა თავიანთ ხალხებს არ უნდა დაუკარგონ ევროპული ერთიანობისა და იდენტურობის შესაძლებლობა“, — აღნიშნა გელა ბეჟუაშვილმა.

საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის თქმით, საქართველოს ერთიან სახელმწიფოში შესაძლებელი იქნება აფხაზებისა და ოსების ეროვნული იდენტურობის უზრუნველყოფა და ამის იგნორირება საკუთარი მომავლის წინაშე დანაშაული იქნება.

ინტერპრესნიუსი

განათლება

# სკოლის დირექტორებს სამინისტრო აღარ დანიშნავს

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ საგანგებო ბრიფინგზე საზოგადოებას წარუდგინა საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორობის მსურველთა რეგისტრაციის შედეგები.** რეგისტრაცია დასრულდა 72 საგანმანათლებლო რესურსცენტრში. 5800-მდე მოქალაქემ გამოთქვა სურვილი, რომ იბრძოლოს დირექტორის ადგილის დასაკავებლად. ყველაზე მაღალი კონკურსი იყო რუსთავში, თბილისში, გურჯაანში, ბათუმსა და ფოთში. ყველაზე დაბალი — ონის, ახალგორის, ახალქალაქის, ამბროლაურის, თეთრი წყაროს რაიონებში. საშუალოდ, ყოველ სკოლაში დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად 2-3 კანდიდატი იბრძოლებს. საქართველოს მასშტაბით 704 ტერიტორიული ერთეულიდან განაცხადი არ შემოსულა იმ 9 ტერიტორიულ ერთეულში, რომელშიც თითო-თითო მცირეკონტინგენტიანი სკოლა იყო გაერთიანებული. ეს კი განაპირობა პედაგოგებისა და მოსახლეობის სიმცირემ, მძიმე გეოგრაფიულმა და კლიმატურმა პირობებმა, კონკურენციის ნაკლებობამ. ამ სკოლებში კონკურსის მომავალ რაუნდამდე მინისტრის მიერ დანიშნული მოვალეობის დროებით შემსრულებლები მუშაობას გააგრძელებენ.

სკოლების დირექტორებს (ეს პირველად ხდება) აღარ დანიშნავენ სამინისტროდან, მას სკოლის სამეურვეო საბჭო აირჩევს.

პირველ ეტაპზე დირექტორის კანდიდატობის მსურველებმა ტესტირება და გასაუბრება უნდა გაიარონ.

ტესტირება ორ ეტაპად იანვარში გაიმართება, ცოტა მოგვიანებით — გასაუბრება.

**ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია არჩევნები სამეურვეო საბჭოებში. სკოლებში წარდგენილი სამი კანდიდატი სწორედ სკოლებში დაადასტურებს თავის მზადყოფნას, გახდეს ახალი თანამედროვე სკოლის დირექტორი.**

**ნათელა ფაილოძე**

# დღის ამბები

**36 პროცენტისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თოვლის პაპა ტრადიციულ ქართულ ჩოხაში იქნება გამოწყობილი, თუ სანტა კლაუსის სამოსში. 23 პროცენტი – მიიჩნევს, რომ სანტა კლაუსი მათთვის უფრო მისაღებია. 41 პროცენტი გამოკითხული მიიჩნევს, რომ საქართველოში თოვლის პაპა აუცილებლად ქართულ ტრადიციულ სამოსში უნდა იყოს**



## ემბარგოს პასუხად

**ავიაკომპანია „აირზენა-ჯორჯიან ეარვეისი“ თბილისი- მინსკის მიმართულებით პირველ რეგულარულ რეისს შეასრულებს.**

ბელორუსიის დედაქალაქში „ბოინგ-737“ და „იაკ-42“-ის ტიპის თვითმფრინავებით რეგულარული რეისები კვირაში ერთხელ, სამშაბათობით შესრულდება.

მინსკის მიმართულებით ახალი რეისის გახსნა იმ სტრატეგიის ნაწილია, რომელიც „აირზენა ჯორჯიან ეარვეისის“ მარშრუტების გაზრდას უკავშირდება.

**თამაზ გაიაშვილი, ავიაკომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე:** „ქართული ავიაკომპანიებისთვის რუსეთის საჰაერო სივრცის ჩაკეტვამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქართულ ავიაკომპანიებს, მინსკის მიმართულებით ახალი საჰაერო მარშრუტის ამოქმედება და სხვა მიმართულებებიც, რომელსაც ჩვენი კომპანია გეგმავს, გარკვეულწილად რუსული ემბარგოს საკომპენსაციო აქტივობაა“.

პირველი რეისი ხვალ დილით შესრულდება. 7 საათზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში რეისის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება.

## საბაჟოსთან ისევ რიგია

**სარფის საბაჟოზე მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება. თურქეთის მხრიდან ტრაილერთა თითქმის 10-კილომეტრიანი რიგი დგას. იგი დაახლოებით, ქალაქ ხოფადან იწყება და სარფის საბაჟომდე გრძელდება.**

კომენტარს მხოლოდ თურქი მძღოლები აკეთებენ და



ამბობენ, რომ მთელი ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში სარფის საბაჟოსთან დგომა უწევთ.

მიზეზად ისინი თურქი მებაჟეების ნელ მუშაობას ასახელებენ. მათივე თქმით, თურქეთის საბაჟოზე კომპიუტერი დღის განმავლობაში სამჯერ ითიშება, რის გამოც რიგები დგება. თურქეთის, ბათუმის საკონსულოში ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ და აცხადებენ, რომ კონსული ბათუმში არ არის.

## ფიცი მწამს...

**აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ უარყო ინფორმაცია, რომ ტურამბას დაჯგუფებამ გალის რაიონის შემოვლითი გზები დანაღმა.**

– შემოვლითი გზის დანაღმვას არავინ აპირებს. რაც შეეხება მის გადაკეტვას, შემოვლითი გზები ფრიდონ ჩაკაბერიას ნათესავებმა ჩაკეტეს, – აღნიშნა შამბამ.

მისივე განცხადებით, ქართველ მოსწავლეებს თუ გადაადგილებისას პრობლემები ექმნებათ, ეს საქართველოს ხელისუფლების ბრალია.

ენგურის ხიდი, ერთ კვირაზე მეტია, აფხაზებს გადაკეტილი აქვთ. მის გახსნას აფხაზური მხარე ჩაკაბერიას გათავისუფლებამდე არ აპირებს.

## აფხაზები ქართული სკოლების აფეთქებით იმუქრებიან

**გალის რაიონის სოფლებში საბერიოსა და ლეკუხონაში მცხოვრებმა მოსწავლეებმა, შესაძლოა, სკოლაში ველარ იარონ. ამის შესახებ განცხადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაავრცელა.**

მათი ინფორმაციით, ადმინისტრაციული საზღვარის ჩაკეტვის შემდეგ, სეპარატისტებმა წალენჯიხის რაიონის სოფლების ფახულანის და წყოუს სკოლამდე მისასვლელი შემოვლითი გზები სპეციალური ტექნიკით გადათხარეს.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, ინ-



ციდენტამდე რუსმა სამშვიდობოებმა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებმა გალელ მოსწავლეებს წალენჯიხის რაიონში განათლების მიღება აუკრძალეს.

წყოუსა და ფახულანის საჯარო სკოლების 300-მდე მოსწავლიდან, 100 გალის რაიონში ცხოვრობს. მოსახლეობის განცხადებით, სეპარატისტები სკოლების აფეთქებით იმუქრებიან.

## ექიმები ჟურნალისტებს ობიექტურობისკენ მოუწოდებენ

**ექიმები მიიჩნევენ, რომ მედიასაშუალებები მოსახლეობაში ექიმების მიმართ უნდობლობის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს.**

– არ შეიძლება არაპროფესიონალმა ექიმის მიმართ რაიმე დასკვნა გამოიტანოს. პრესისა და ტელევიზიის ექიმების მიმართ მიდგომა იმდენად უარყოფითია, რომ მოსახლეობაში მხოლოდ და მხოლოდ უნდობლობას იწვევს. არ შეიძლება გამოძიების გარეშე დავადანაშაულოთ რომელიმე პროფესიონალი და ბრალი დავდოთ არაპროფესიონალიზმში. მოვუწოდებთ მედიასაშუალებებს, სამედიცინო თემებზე მუშაობის დროს იყვნენ უფრო ობიექტურები, – განაცხადა თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარება 03-ის დირექტორმა **დავით გველესიანმა.**

## გვექნება ოზურგეთული კივი

**გურიაში, კერძოდ ოზურგეთში, ბოლო 5 წლის მანძილზე კივის მეურნეობა საგრძნობლად განვითარდა. წელს წარმოებული კივის მოცულობამ 1000 ტონა შეადგინა.**

როგორც ოზურგეთის კივის სანერგე მეურნეობაში განმარტავენ, შესაძლოა უახლოეს წლებში კივის წარმოებამ გურიაში 4-5 ათასი ტონაც შეადგინოს.

საშუალოდ 1 ჰექტარზე 20 ტონა კივის მოსავალი მოჰყავთ, თუმცა პროფესიონალ ფერმერს კარგი სანერგე კივის პირობებში შეუძლია 60-70 ტონა კივის მოსავალიც მოიწიოს.

## თხილის მეურნეობის აღმასვლა

**საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის ფართობებისა და შესაბამისად შემოსავლის მოცულობა. მოსახლეობა კერძო სექტორში და ფერმერულ მეურნეობებში აქტიურად აშენებს თხილის პლანტაციებს.**

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის კლასიფიკაციაში თხილის ხვედრითი წილი ყოველწლიურად დინამიურად იზრდება. ქართული თხილის 95 % უცხოურ ბაზრებზე გადის.



წინა წლებში თხილის პროდუქციის ნახევარი დაუმუშავებელი სახით რუსეთში გადიოდა. ბოლო წლებში კი ქართული თხილის ექსპორტი ევროპაშიც დაიწყო, სადაც ხარისხიანი პროდუქცია მაღალ ფასში იყიდება.

საქართველომ ადგილობრივად წარმოებული თხილით ევროპელი მწარმოებლების კონკურენცია დაიწყო.

სამეგრელოს რეგიონში თხილის დამზადების ასობით პუნქტი ფუნქციონირებს, თუმცა ყველაზე სოლიდური შემსყიდველი შპს „თხილის ქარხანაა“, რომელმაც ფუნქციონირება 4 წლის წინათ დაიწყო. საწარმოს 60%-ის მფლობელი „ბანკ რესპუბლიკის“ დამფუძნებელი ლაშა პაპაშვილია. საწარმო წელიწადში 2 500 ტონა თხილს ამუშავებს და პროდუქციის 100% ექსპორტზე ევროპაში – გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში და ჩეხეთში გააქვს.

საწარმო თხილს 700-800 ფერმერისგან მთლიანად სამეგრელოში ყიდულობს. მათ შორის არის აფხაზეთიდან შემოტანილი თხილიც.

## კალმახები – გურიიდან

**გურიაში ყოველწლიურად 400-500 ტონა ტბორის კალმახს გადაამუშავებენ, რაც მცირე სიმძლავრის კალმახის გადამმუშავებელი საწარმოსთვის საკმარისი სიმძლავრეა. საკალმახე მეურნეობები წარმოდგენილია მცირე ფართის 100-დან 500-მდე კვ. ფართობის ტბორებით, რომელთა სიმძლავრე წლიურად 5-15 ტონას შეადგენს.**

გურიაში გარდა აღნიშნული მეურნეობებისა, არსებობს საშუალო და უფრო დიდი წარმადობის მეურნეობანი. ლიხაურს, მაკვანეთს, ვაკიჯვარს, ნაბეღლავს, ზოტს თითოეულს ყოველწლიურად შეუძლია 30-დან 100 ტონამდე კალმახი აწარმოოს.

## სანტა კლაუსს თოვლის პაპა სჯობს

**„ჯორჯიან კონსალტინ გრუპმა“ თბილისში ტრადიციული წინასაახალწლო გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხულია 725 რესპონდენტი. გამოკითხვის მიხედვით, 2007 წელს ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებებს ელოდება – 42%. 37% – მიიჩნევს, რომ არაფერი შეიცვლება, ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესებას ვარაუდობს გამოკითხულთა – 21 პროცენტი.**

გასულ წელს გამოკითხული 876 რესპონდენტიდან 2006 წელს ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებებს ელოდებოდა – 48%. 34% – მიიჩნევდა, რომ არაფერი შეიცვლებოდა. ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესებას ვარაუდობდა გამოკითხულთა – 18%.

გამოკითხულ რესპონდენტთა 31% ვარაუდობს, რომ მათი ცხოვრების დონე 2007 წელს უნდა გაუმჯობესდეს. 22% – მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მდგომარეობის გაუარესება, ხოლო – 47% ცვლილებას არ ელოდება. ახალი წლის დადგომას ამაღლებული განწყობით ხვდება – 40%, ეს დღე ჩვეულებრივი დღეა – 24%-სთვის, ხოლო – 36% მიიჩნევს, რომ გული სწყდებათ, ახალ წელს სასურველი განწყობით რომ ვერ ხვდებიან.

რესპონდენტების – 36 პროცენტისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თოვლის პაპა ტრადიციულ ქართულ ჩოხაში იქნება გამოწყობილი, თუ სანტა კლაუსის სამოსში. 23 პროცენტი – მიიჩნევს, რომ სანტა კლაუსი მათთვის უფრო მისაღებია. 41 პროცენტი გამოკითხული მიიჩნევს, რომ საქართველოში თოვლის პაპა აუცილებლად ქართულ ტრადიციულ სამოსში უნდა იყოს.

ტრადიციული ქართული სუფრის (გოჭი, საცივი, გოზინაყი და ა.შ.) გაშლას შეეცდება გამოკითხულთა – 42%. 37%-ის ოჯახებში საკუთარ თავს უფლებას ვერ მისცემენ სრულად დაიცვან საახალწლო მენიუს ტრადიცია, ხოლო – 21%-ის საახალწლო სუფრას ყოველდღიური მენიუსგან განსხვავებული არაფერი შეემატება.

ნაძვის ხესთან ერთად ჩიჩილაკის შეძენას ვარაუდობს – 79%, 16% არ აპირებს შეიძინოს ჩიჩილაკი, ხოლო 5%-ს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.

## ბავშვი არა ბავშვთა სახლში, არამედ – ოჯახში

**42 სააღმზრდელო დაწესებულებას, განათლების სამინისტროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა ზრუნვის სამმართველოს უფროსმა თამთა გოლუბიანმა სხვადასხვა სახის ტექნიკა და ინვენტარი გადასცა.**

როგორც თამთა გოლუბანმა განაცხადა, განათლების სამინისტროსა და სახელმწიფოს დღევანდელი პრიორიტეტია ბავშვი გაიზარდოს არა ბავშვთა სახლში, არამედ – ოჯახში.

– დღეისთვის, საქართველოს ბავშვთა სახლებსა და სკოლა-პანსიონებში 4000-მდე ბავშვი რჩება. მათთვის საჩუქარი გვინდოდა გაგვეკეთებინა, ამიტომ ბავშვთა სახლების ხელმძღვანელობას ვთხოვეთ, წარმოედგინათ იმ ტექნიკის ნუსხა, რომლებიც სახლებს სჭირდებათ, – აღნიშნა გოლუბიანმა.

სამინისტროს მიერ შეძენილია მუსიკალური ცენტრები, სარეცხი მანქანები, გაზქურები, მაცივრები, წყლისსაქაჩი მოწყობილობები და რეზერვუარები, ტუმბოები, საწოლები, კარადები და სხვა.

თამთა გოლუბიანის განცხადებით, ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 1400-ზე მეტ ბავშვს დაეხმარა. ზოგი მათგანი თავის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა, განხორციელდა ე.წ. მიტოვების პრევენციაც.

## მეტეხის აღმართის რამდენიმე ქუჩას სახელწოდება შეეცვლება

**თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, ებრაულ დღესასწაულ ხანუქასთან დაკავშირებით, თბილისის ძველ უბანში რამდენიმე ქუჩას სახელი შეეცვლება. კერძოდ, მეტეხის აღმართზე მდებარე II და III ჩიხებს მეფსალმუნე მეფე დავითისა და მეფე სოლომონ ბრძენის სახელები ეწოდება.**

ქუჩების სახელდების ღონისძიებას, სავარაუდოდ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრება.

## გაზით მოიწამლნენ

**ბუნებრივი გაზით მოწამლული სამი პაციენტი გვიან ღამით რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.**



პაციენტები, სავარაუდოდ, ტექნიკურად გაუმართავი გაზის გამათბობლიდან გაზის გაჟონვით მოიწამლნენ.

მათ საავადმყოფოში მიყვანისას დეტოქსიკაცია და შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდათ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

ევროპის კავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პიტერ სემნები, რომელიც მოგზაურობს ამ რეგიონში, არ უჭერს მხარს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების ფორმატის შეცვლას, რასაც დაჟინებით მოითხოვს თბილისი



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკავშირი და თბილისი სხვადასხვაგვარად ფიქრობენ

**ევროპის კავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პიტერ სემნები, რომელიც მოგზაურობს ამ რეგიონში, არ უჭერს მხარს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების ფორმატის შეცვლას, რასაც დაჟინებით მოითხოვს თბილისი. „პოტენციალი არ ამოწურულა. მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისთვის, რათა გააქტიურონ თავიანთი მოქმედება არსებული ფორმატების ფარგლებში“, — დარწმუნებულია იგი.**

როგორც პიტერ სემნების მიაჩნია, ვითარების მოწესრიგების ახალი ბერკეტების ძებნა შეიძლება დაიწყოს მაშინ, როცა ამოიწურება ამჟამად არსებულთა შესაძლებლობები. „საჭიროა შეიქმნას ნდობის ატმოსფერო, რომელიც შესძენდა მეტ აქტიურობას კონფლიქტის მოწესრიგების ახალ ფორმატებს, მაგრამ ამ პროცესის დაწყება არ შეიძლება ამჟამად არსებული ფორმატების შეცვლით“, — აღნიშნა მან.

ასეთი განცხადებით ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ხაზი გადაუსვა ქართული მხარის იმედებს, რომელსაც სურს, რომ მოლაპარაკების პროცესში ჩააბას ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული ხელისუფლება „ალტერნატიული პრეზიდენტის“ დიმიტრი სანაკოევის მეთაურობით, რომელიც ფაქტობრივად გამოხატავს ამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობის ინტერესებს.

ცხინვალმა გაილაშქრა ასეთი ვარიანტის წინააღმდეგ და უარი თქვა მონაწილეობაზე მოლაპარაკების მორიგ რაუნდში, თავისი პოზიცია ახსნა იმით, რომ შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე საქართველოს მხრიდან, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში მერაბ ანთაძე ესწრებოდა ალტერნატიულ არჩევნებში სანაკოევის გამარჯვებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებებს. უნდა ითქვას, რომ სწორედ მაშინ გაჟღერდა პირველად თბილისის წინადადება მოლაპარაკების პროცესში ალტერნატიული მთავრობის ჩაბმის შესახებ. „რეგიონში გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს მოლაპარაკების პროცესის ყველა მონაწილემ“, — თქვა მაშინ მერაბ ანთაძემ. მაგრამ ამის გაკეთებას არ აპირებს არც მოსკოვი, არც ვლადიკავკაზი, არც ცხინვალი და არც ეუთო, რომელიც კურირებს მოლაპარაკების პროცესს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეთი ვითარებაა.




„ცხადია, ეს შეუძლებელი იქნება, თუ საქართველო არ მიანიჭებს ამ რეგიონებს (იგულისხმება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიძ ძალზე ფართო ავტონომიას“, — თქვა შემდეგ პიტერ სემნებიმ. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგებას სხვადასხვაგვარი მიდგომა სჭირდება.

სამხრეთ ოსეთში ევროპის საბჭოს სპეციალური წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადება მიიჩნიეს ცხინვალის პოზიციის მხარდაჭერად და ინიციატივის ხელში აღებაც კი სცადეს. ცხინვალიდან გაისმა არაერთი განცხადება, რომელთა ადრესატი უფრო მეტად იყო მსოფლიო გაერთიანება, ვიდრე თბილისი. ჯერ იყო და პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ მოითხოვა მოლაპარაკების განახლება არსებული ფორმატის ფარგლებში, რომელიც, მისი აზრით „უნიკალურია“, და აღნიშნა, რომ მზად არის შეხვდეს შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს, ეუთოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და განიხილოს რეგიონში შექმნილი ვითარება. შემდეგ კი განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი აპირებს 30 პროცენტით შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები და მოუწოდებს საქართველოს მიბაძოს ამ მაგალითს, „რომელიც ზრდის თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვს საერთოდ, და უშუალოდ — სამხრეთ ოსეთის საზღვრების მახლობლად“. კოკოითის სიტყვები, პრინციპში გაიმეორა თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა. და ბოლოს, ყოველივე ეს დაასრულა ადგილობრივმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც კონფლიქტის ზონაში ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების პოვნის შესახებ გაკეთებულ განცხადებაში შეიტანა დაზუსტება: „ნაღმები დადებული იყო იმ გზაზე, რომლითაც ედუარდ კოკოითი რუსეთისკენ მიემართებოდა“. თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ინციდენტი შეაფასა როგორც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობის აღკვეთა.

ამის საპირისპიროდ, ქართული მხარე აღნიშნავს, რომ ამჟამინდელმა ფორმატმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები, მასში აუცილებელია კორექტივების შეტანა, და გამოთქვამს რწმენას, რომ ამაში თვით ევროკავშირიც დარწმუნდება.

**ერთი სიტყვით, ალბათ, უახლოესი მომავლისთვის არ უნდა ველოდოთ რაიმე რეალურ წინსვლას თბილისისა და ცხინვალის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე. ამას უკვე ადასტურებს ისიც, რომ მხარეებს „მხედველობიდან გამორჩათ“ სემნების კიდევ ერთი შენიშვნა: „ევროკავშირი არ ცნობს სამხრეთ ოსეთში გამართულ არც რეფერენდუმს და არც პრეზიდენტის არჩევნებს“.**

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

# გაეროს რეგისტრაციის თხოვნით მიმართეს

**მოსკოვში 2006 წლის 18 დეკემბერს გამართულმა „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეამ მიიღო მიმართვა გაეროს სახელზე. გთავაზობთ ამ მიმართვის შინაარსს:**

„დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეა დიდ შეფასებას აძლევს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის, აგრეთვე ერებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლსა და საქმიანობას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სამართლის პრინციპების, კერძოდ კი ხალხების თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემას.

მხარს ვუჭერენ რა აფხაზეთის რესპუბლიკის, მოლდავეთის დნესტრისპირა რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მრავალეროვანი ხალხების ნების აღსრულებას, რომელიც დაფიქსირდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმების დროს, აგრეთვე ცდილობენ გამონახონ ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და მოლდავეთ-დნესტრისპირეთის კონფლიქტების მოწესრიგების კომპრომისული გზები, აფხაზეთის რესპუბლიკის, მოლდავეთის დნესტრისპირა რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებმა დააფუძნეს „ხალხების დემოკრატიისა და უფლებებისათვის გაერთიანების წევრ-სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, რომლის საქმიანობა მიზნად ისახავს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფას, აგრეთვე ამ რესპუბლიკების ხალხების საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებათა რეალიზაციას.

„დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეა მზად არის ჩაებას საერთაშორისო დონის საპარლამენტო დიალოგში ყველა სფეროში არსებული აქტუალური პრობლემების მოგვარებისათვის მოქმედების კოორდინაციის მიზნით.

ვთხოვთ რა გაეროს გენერალურ მდივანს განიხილოს „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის დამფუძნებელი დოკუმენტების რეგისტრაციის შესაძლებლობა, „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ თანამეგობრობის მონაწილე-სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეა გამოთქვამს იმედს, რომ გაგებით და მხარდაჭერით მოეკიდებიან მის მისწრაფებას, რომელიც მიზნად ისახავს მტკიცე და სტაბილურ განვითარებას მსოფლიოში არსებული საერთო ტენდენციებისა და დემოკრატიული სტანდარტების კალაპოტში“.

REGNUM

# აფხაზეთს ბლოკადაში ადანაშაულებენ

**კვირას აფხაზურმა მხარემ დაბლოკა აფხაზეთის გალის რაიონიდან დასავლეთ საქართველოს მეზობელ ზუგდიდის რაიონისკენ მიმავალი გზები. ამას იტყობინებიან ქართული ტელეარხების მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე.**

„ყველა შემოსავლელი გზა, რომლებითაც გალის რაიონის მცხოვრებლებს შეეძლოთ გადასვლა მდინარე ენგურზე, გადაკეტილია. გზები გადათხრილია ბულდოზერებით და ექსკავატორებით“, — გადასცემდა „რუსთავი-2“ ტელეარხი.

ჩაკეტილია ასევე მდინარე ენგურის ცენტრალური საავტომობილო ხიდი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს გალის და ზუგდიდის რაიონებს.

„მდინარე ენგურის ხიდს აფხაზური სპეციალური დანიშნულების რაზმი აკონტროლებს“, — იტყობინება ტელეარხი. მახლობლად გახსნილია დროებითი გადასასვლელი, სადაც ერთი ადამიანის გატარებისთვის აფხაზური მხარე 3 ათას რუბლს ითხოვს.

ტელეარხის მონაცემებით, გზების ბლოკირებას წინ უსწრებდა რუსი სამშვიდობოების საგუშაგოზე მომხდარი ინციდენტი, სადაც აფხაზურმა მხარემ დააკავა გალის რაიონის სკოლების ხუთი მოსწავლე. ბავშვებმა საგუშაგოზე ორი საათი გაატარეს, რის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.

როგორც ქართული ტელეარხი „იმედი“ იტყობინებოდა, აფხაზთა სპეციალური დანიშნულების რაზმის ქვეგანაყოფი, რომელსაც ვინმე ოთარ ტურამბა მეთაურობს, განლაგდა გალის რაიონის ქართულ სოფლებში. „იმედი“ აღნიშნავდა, რომ აფხაზური მხარე ხელს უშლის რაიონის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილებას.

**ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც განაცხადეს, რომ აფხაზთა ფორმირებების წარმომადგენლები გალის რაიონში მოქმედი ქართული სკოლების დახურვით იმუქრებიან.**

НОВОСТИ

## მოკლედ

**იაპონიამ უარყო ჩრდილოეთ კორეის მიერ ექვსმხრივ მოლაპარაკების დროს წამოყენებული პირობები. „კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამოსვლა ძალზე განსხვავდება მოლაპარაკების ხუთი სხვა მონაწილის პოზიციისგან, ამიტომ, მათი პირობების მიღება დაუშვებელია. ფხენიანის პოზიცია შეიცავს მრავალ**



**პრობლემურ მომენტს“, — განაცხადა პეკინში მიმდინარე ექვსმხრივ მოლაპარაკებაზე იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელმა კენიტირო სასაემ.**

* * *

**უკრაინის მოქალაქეები უკმაყოფილონი არიან ქვეყანაში დამყარებული დემოკრატიით, მათი მეხუთედი კი უპირატესობას ანიჭებს დიქტატურას. ასეთია გამოკითხვის შედეგები, რომელიც განახორციელეს უკრაინის მსხვილმა სოციოლოგიურმა კომპანიებმა. გამოკითხულთა კიდევ შვიდ პროცენტს მიაჩნია, რომ უკრაინას საერთოდ არ სჭირდება პრეზიდენტი.**



* * *

**ჟაკ შირაკი: სირიასთან არ შეიძლება მოლაპარაკების გამართვა, რადგან იგი არის ტოტალიტარული მკვლელების სახელმწიფო. საფრანგეთის ლიდერს ასეთი პოზიცია ჩამოუყალიბდა მას შემდეგ, რაც მოკლეს ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაფიკ ჰარირი. ჟაკ შირაკს მიაჩნია, რომ დამასკო ცდილობს ლიბანში ფუად სინიორას მთავრობის დამხობას და ყოველმხრივ უშლის ხელს ჰარირის მკვლელობის გამოძიებას. აღსანიშნავია, რომ სირიის პრეზიდენტი მოლაპარაკების გამართვის მიზნით ეწვია მოსკოვს.**



* * *

**„ჰამასის“ მოთარეშეები მომზადებას გადიან ირანში. ისრაელის სპეცსამსახურების მონაცემებით, „ჰამასის“ მოძრაობა ემზადება ისრაელთან შეტაკებისთვის. მოთარეშეები მუშაობენ „ქასამის“ ტიპის რაკეტების დახვეწისთვის და ამ მიზნით სპეციალურ მომზადებას გადიან ირანის ტერიტორიაზე, როგორც ამას თავის დროზე აკეთებდნენ „ჰესბოლას“ მებრძოლები.**



№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

**თვით შეერთებული შტატების არმიის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვის გაზრდაც კი ვერ შეცვლის ერაყში არსებულ „ძალზე სერიოზულ ვითარებას, რომელიც სულ უფრო უარესდება“**



# კოლინ პაუელი: ამერიკელები ერაყში ომს აგებენ



**CBS ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კოლინ პაუელმა აგრეთვე განაცხადა, რომ თვით შეერთებული შტატების არმიის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვის გაზრდაც კი ვერ შეცვლის ერაყში არსებულ „ძალზე სერიოზულ ვითარებას, რომელიც სულ უფრო უარესდება“.**

შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ცდილობს შეიმუშაოს ერაყში ახალი სტრატეგია; ზოგი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ეს შეიძლება გულისხმობდეს ამ ქვეყანაში ამერიკელთა სამხედრო კონტინგენტის გაფართოებას.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციის წარმომადგენელმა პარასკევს განაცხადა, რომ ერაყში შეიძლება გაგზავნონ 25 ათასი ჯარისკაცი, რომლებიც დაემატებიან ამ ქვეყანაში უკვე მყოფ 140 ათას ამერიკელ სამხედროს.

შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მინისტრის ჯეიმს ბეიკერის ხელმძღვანელობით მოქმედი ექსპერტთა ჯგუფის მოხსენება შეიცავს რეკომენდაციებს 2008 წლის დამდეგისთვის ერაყიდან ამერიკელთა ჯარების გამოყვანის თაობაზე.

შეერთებული შტატების სენატში დემოკრატთა ლიდერმა ჰარი რიდმა მხარი დაუჭირა წინადადებას ერაყში ამერიკელი სამხედროების რიცხვის გადიდების შესახებ, მაგრამ, სენატორის თქმით, ეს უნდა გახდეს ხანგრძლივი სტრატეგიის ნაწილი.

ამავე დროს, შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გამოთქვა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ამერიკელ სამხედროთა რიცხვის გაზრდამ, შესაძლოა, კიდევ უფრო აამაღლოს ქვეყანაში ძალადობის დონე.

„არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მოუღებს ბოლოს ძალადობას რელიგიურ საფუძველზე“, — აღნიშნა პაუელმა.

როგორც მან თქვა, შეერთებული შტატების არმიის მეომრები ისედაც უკვე ახორციელებენ მრავალ ოპერაციას, ამიტომ ქვეყანას, უბრალოდ, აღარ ჰყავს „ზედმეტი“ სამხედრო ძალა, რომელიც შეიძლება გაიგზავნოს ერაყში.

„ჩვენ ვმარცხდებით ომში, თუმცა, ჯერჯერობით საბოლოოდ არ დავმარცხებულვართ, — თქვა პაუელმა, — და ახლა დადგა დრო დავიწყოთ იმ სტრატეგიის განხორციელება, რომელსაც შეუძლია სიტუაციის შეცვლა“.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ აცხადებს აუქციონს

უტილიზაციის შედეგად მიღებულ იქნა ნაკეთობები დაუმუშავებელი ჯართის სახით შემდეგი ლითონების შემცველობით:

შავი და ფერადი ლითონები: ალუმინი, უჟანგავი ფოლადი, შავი ლითონი;

ძვირფასი ლითონები: ოქრო, ვერცხლი, პლატინა.

ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.

| ლოტის № | საქონლის დასხელება | წონა (კგ) | რაოდენობა (ცალი) | საწყისი ღირებულება (ლარი) | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|
| | ნაკეთობები დაუმუშავებელი ჯართის სახით | 52643,766 | 8460 | 90.430 | 100 |

**გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“.**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:** საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისთვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისთვის 20 ლარი, გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი „220101502“, ანგარიშის №120236700.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას“ მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2006 წლის 20 დეკემბრიდან 2007 წლის 18 იანვრის ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2007 წლის 22 იანვარს 14 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №1.

აუქციონში მონაწილეობისთვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

— ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით;

— იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

**ტელ. 95-28-28.**

**მის: ქ. თბილისი, მნათობის №73, მე-2 სართული.**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“**

## მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს შემდეგ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე:

1) დაბა ზაჰესის ტერიტორიაზე, თბილისი-გორი საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 700მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721204264) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.

საწყისი გასაყიდი ფასია: 1მ$^2$ – 25 (ოცდახუთი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

2) მცხეთის რაიონის საგურამოს საკრებულოს ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 300 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 720609620) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.

საწყისი გასაყიდი ფასია: 1მ$^2$ – 10 (ათი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

3) მცხეთის რაიონის დიღმის ტერიტორიაზე (დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, თბილისი-სენაკი საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარედ უშუალოდ გზის პირას) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 20000 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721411229) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.

საწყისი გასაყიდი ფასია: 1მ$^2$ – 105(ასხუთი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

4) მცხეთის რაიონის დიღმის ტერიტორიაზე (მეაბრეშუმეობის კ/ინსტიტუტის ტერიტორიაზე, აშშ საელჩოს მიმდებარედ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 12410 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721413207) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.

საწყისი გასაყიდი ფასია: 1 მ$^2$ – 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

5) მცხეთის რაიონის დიღმის ტერიტორიაზე (მეაბრეშუმეობის კ/ინსტიტუტის ტერიტორიაზე, აშშ საელჩოს მიმდებარედ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 7980 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721413088) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.

საწყისი გასაყიდი ფასია: 1 მ$^2$ – 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

**შენიშვნა:** განცხადებაში მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტად გამოცხადებულ მიწის ფართობების საწყის გასაყიდ ფასს დაემატება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების გადასახადი.

**აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 10 %-ს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა, გადახდილი უნდა იქნას ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები.**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12 საათზე, აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთებს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისთვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა — მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ: 8(27-32) 27-27: 893 35-14-44**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

**2006 წლის 2 დეკემბრის გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის“ 237-ე ნომერში მცხეთის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში (დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრის მიმდებარე ტერიტორიიდან, უშუალოდ საპატრულო და დაცვის პოლიციათა დეპარტამენტების მიმდებარედ არსებულ ნაკვეთებზე) მცხეთის მუნიცაპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 15 დეკემბრის № 235 დადგენილებით განხორციელდა ფასთა ცვლილება და სააუქციონე მიწის ნაკვეთების საწყის გასაყიდ ფასად დაფიქსირდა:**

1) 1500 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721434242);
2) 1282 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721434015);
(1მ$^2$ –65 (სამოცდახუთი)აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში);
3) 1900 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721434255);
4) 2700 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721434208);
5) 1799 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721434205);
6) 2247 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721434203);
(1მ$^2$ – 40 (ორმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში);
7) 3177 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721432303);
8) 3200 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721432304);
9) 1186 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721434183);
10) 1716 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721434184);
11) 7774 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721435161);
12) 5127 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721435175);
13) 5094 მ$^2$ (მიწის სარეგისტრაციო № 721435181);
14) 0.22 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721435184)
(1მ$^2$ – 35 (ოცდათხუთმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში);
15) 0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721435134);
16) 0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721435135)
(1მ$^2$ – 25 (ოცდა ხუთი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში).

აუქციონის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ფასის 10 %-ს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა, გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება გაგრძელდება 2007 წლის 3 იანვრის დღის 12 სთ-მდე, აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 4 იანვარს, 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთებს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა – მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ: 8(27-32) 27-27: 893 45-14-44**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

# სპორტი

● საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ომზარ შოშიტაშვილი ნიჭიერი ორგანიზატორი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული კაცია. „საჭიდაო სკოლის ცოცხალ მემატიანეს“ ნებისმიერ დროს შეუძლია, მოგაწოდოს ყოველგვარი ინფორმაცია, რადგან ოცდახუთი წელიწადია, საქართველოში მოჭიდავეთა თითქმის ყველა ღონისძიება მისი თავკაცობით იმართება



◎ ორბიტაზე

## მსოფლიო რეკორდი ველოტრეკზე



**23 წლის ჰოლანდიელი ტეო ბოსის მსოფლიო რეკორდით დასრულდა საკვალიფიკაციო რბოლები მოსკოვის ველოტრეკზე, სადაც მიმდინარეობდა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი.** 200 მეტრზე სპრინტში ჰოლანდიელმა 9,772 წამი აჩვენა. წინა რეკორდი – 9,866 – ეკუთვნოდა ამერიკელ კურტ ჰარტნეტს, რაც მან ბოგოტას მაღალმთიან ტრეკზე დაამყარა.

## შპარგალკა – მილიონ ევროდ?

**ასეთი ფასი ადევს ფეხბურთში გერმანიის ნაკრების მეკარის იენს ლემანის შპარგალკას, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანელებს დაეხმარა არგენტინელების დამარცხებასა და ნახევარფინალში გასვლაში.**

9X10-სანტიმეტრიან პატარა ქაღალდზე სკრუპულოზური ანალიზის შედეგად მოკლედ და გარკვევით იყო ნათქვამი, თუ როგორ ურტყამენ პენალტს არგენტინის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები. ახლა ეს ძვირფასი „დოკუმენტი“ ლემანმა საქველმოქმედო მიზნით გადასცა გაზეთს „Bild“ ორგანიზაციისთვის „გულები ბავშვებს“ გაჭირვებული ბავშვების დასახმარებლად თავისებური აუქციონისთვის. თუ ვის ერგება მეკარის ეს სანუკვარი შპარგალკა, გაირკვევა გალა-წარმოდგენაზე, სადაც გფრ-ის კანცლერს ანგელ მერკელსაც ელიან.

## „მილანი“ უარყოფს

**თავისი პრეს-სამსახურის მეშვეობით იტალიური „მილანი“ ოფიციალურად უარყოფს პრესაში გავრცელებულ ცნობას, თითქოს სილვიო ბერლუსკონიმ „ჩელსიში“ გადასულ ანდრეი შევჩენკოს უწოდა „ფინია“, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს თავისი ცოლის კრისტენ პაზიკის (ფოტოზეძ ყოველ ბრძანებას.**

„კლუბის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ ნამდვილად გამოიყენა რამდენიმე ხატოვანი გამოთქმა, მაგრამ ის თავის თავზე ლაპარაკობდა, – ნათქვამია დოკუმენტში, რომელიც „მილანის“ ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა, – ის არასდროს იტყოდა ასეთ რამეს ფეხბურთელზე, რომელმაც ჩვენს ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი ფურცლები ჩაწერა“.

კლუბმა უარყოფით კი უარყო, მაგრამ შაბათს ეს ჭორი მაინც გადაბეჭდეს ევროპის წამყვანმა ჟურნალ-გაზეთებმა.



◎ ფეხბურთი

## ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XVI ტური.** „ინტერი“ – „მესინა“ 2:0, „რომა“-„პალერმო“ 4:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 42, „რომა“ – 35, „პალერმო“ – 31 ქულა.

**ესპანეთი. XV ტური.** „უელვა“-„სევილია“ 1:3, „ესპანიოლი“-„რეალი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „სევილია“ – 34, „ბარსელონა“ – 33, „რეალი“ – 32 ქულა.

**ინგლისი. XVIII ტური.** „ვესტ ჰემი“-„მანჩესტერი“ 1:0, „ევერტონი“-„ჩელსი“ 2:3, „ჩარლტონი“-„ლივერპული“ 0:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – 44, „ჩელსი“ – 42, „ლივერპული“ – 31 ქულა.

**გერმანია. XVII ტური.** „ვერდერი“-„ვოლფსბურგი“ 2:1, „ბლეფელდი“-„შალკე“ 0:1, „მაინცი“-„ბაიერნი“ 0:4.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ვერდერი“, „შალკე“ – 36-36, „ბაიერნი“ – 33 ქულა.

**საფრანგეთი. XVIII ტური.** „ლანსი“-„ლიონი“ 0:4, „სენტ ეტიენი“-„ვალანსიენი“ 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ – 49, „ლანსი“ – 32, „სენტ ეტიენი“ – 31 ქულა.

◎ აღიარება



## კანავაროს „დუბლი“

**„ფრანს ფუტბოლის“ ამასწინანდელი გამოკითხვის მსგავსად, „სკუადრა აძურას“ კაპიტანი ფაბიო კანავარო მწვრთნელებმაც რჩეულად მიიჩნიეს. „რეალის“ დაცვის ბურჯმა ფიფას ეგიდით მოწყობილ რეფერენდუმში 489 ხმა მოაგროვა და 35 ქულით გაუსწრო წლევანდელ „მუნდიალის“ ანტიგმირს ზინედინ ზიდანს.** შარშანდელმა ლაურეატმა რონალდინიომ მხოლოდ 380 ხმა მიიღო და მესამე ადგილი დაიკავა. მას, ეტყობა, გერმანიის სტადიონებზე სუსტი თამაში არ აპატიეს.

◎ ფორუმი

## ისევ სამბა

**„ბარსელონას“ უმდიდრეს კოლექციას საკონტინენტთაშორისო (იგივე „ტოიოტას“ძ თასი აკლია, რომელიც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატმა შეცვალა.** ახალი ტურნირი წლეულს მესამედ გაიმართა იაპონიაში და კატალონიელთათვის ისევ უტიტულოდ დასრულდა – ბრაზილიელთა ჰეგემონია ამჯერად პორტუ-ალეგრის „ინტერნასიონალმა“ გაამყარა, რომელმაც მრისხანე მეტოქეს 1:0 სძლია (გოლი 81-ე წუთზე ადრიანუმ გაიტანაძ. ფინალის ფავორიტად მიჩნეულ ევროპელთა ლიდერი რონალდინიო საიმედოდ ამოკეტა მისმა თანამემამულე სეარამ, დეკუს აქტიურობა კი წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა.



◎ კალათბურთი

## აი, რეკორდი!

**„აზოტისა“ და „ავიამშენის“ დუელს დიდი ინტერესით ელოდა გულშემატკივარი, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა – ლევან მოსეშვილის გუნდი შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა რუსთავში და უშანსოდ დამარცხდა – 81:94. მასპინძელთა გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი ბეჟანიშვილმა (20 ქულაძ, გამყრელიძემ (18 ქულაძ და გოგოხერიშვილმა (14 ქულაძ შეიტანეს.**

XVI ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის მორიგი ტურის დანარჩენი შეხვედრები ვერის ბაღში გაიმართა და ასე დასრულდა: თსუ – „მაქაბი“ 137:86 (სტუდენტებმა შედეგიანობის მხრივ სუპერლიგის რეკორდი დაამყარესძ, „დინამო“ – სტუ 84:74.

**სეზონის ფინიშზე 23 დეკემბერს ითამაშებენ:** სტუ-„აზოტი“ (12 საათზეძ, „მაქაბი“-„დინამო“ (14 საათზეძ და თსუ-„ავიამშენი“ (16 საათზეძ.

◎ ლაურეატობის კანდიდატი

## მეტოქეს ჯაბნის, მსაჯებს კი – ვერა

**უკვე გაუწყეთ, რომ ერევანში მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირზე ოქროს მედალი მოიპოვა კახა ჟვანიამ, რომელიც 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.**

– ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შეჯიბრებაზე არ გამოვსულვარ, – მითხრა მან. – მთელი შემოდგომა ფოთში ჩემი მწვრთნელის – ტარიელ ვერულაშვილის ხელმძღვანელობით ვემზადებოდი. ერთი სული მქონდა, ტრავმამოშუშებულს საკუთარი ძალები მომესინჯა.

ერევნის რინგზე სამი ორთაბრძოლა მოვიგე. ზედიზედ ვძლიე ჩეხ და სომეხ მეტოქეებს, ფინალში რუსეთელ მსოფლიო და ევროპის პირველობების გამარჯვებულს აშკარად ვაჯობე, მაგრამ გვერდით არბიტრებს სხვაგვარად განუსჯიათ – მათი აზრით, თურმე 1:4 წამიგია პაექრობა, რასაც ტურნირის მთავარი მსაჯი და მისი მოადგილე არ დაეთანხმნენ. რეფერიმ ჩემპიონად მე გამომაცხადა.

სხვათა შორის, მსგავსი რამ მოხდა დავით წიკლაურის ნახევარფინალური ორთაბრძოლისას, მაგრამ იქაც სიმართლემ გაიმარჯვა და დათომ ოქროს მედალი დაიმსახურა.

ქომაგებს მინდა შევახსენო, რომ არაობიექტური მსაჯობით კახა ჟვანიას დაჩაგვრის ეს პირველი შემთხვევა როდია: შარშან ჩინეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ ბახტიარ არტაევთან წააგებინეს მესამე ორთაბრძოლა, წლეულს კი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში არბიტრებმა ყველაფერი იღონეს ბულგარელი სპას გენოვის ფინალში გასაყვანად, ქართველი ათლეტი კი ბრინჯაოს მედალს დააჯერეს...

კახა ჟვანია თხუთმეტი წელიწადია, კრივში ვარჯიშობს. ამ ხნის განმავლობაში ათჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, მათ შორის სამჯერ – უფროსებში. ჭაბუკებში 1998 წლის ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა, როგორც ვთქვით, წლეულს მიაღწია მსგავს წარმატებას. ჯერ ოცდაოთხი წლისაა, ამიტომ ყველაფერი წინ აქვს. მისი ოცნებაა, გაისად 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური დაიბევოს და კვარცხლბეკზე პეკინშიც ავიდეს.



**ამას წინათ საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით ცერცვაძემ მითხრა: „კახა ჟვანია შესანიშნავი სპორტსმენი და რჩეული პიროვნებაა, შრომისმოყვარე, ზრდილი და მიზანმიმართული, რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა ერევნის ტურნირზე. მჯერა, რომ საერთაშორისო სარბიელზე ბევრჯერ გვასახელებს.“**

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ტარიელ ვერულაშვილი შეგირდთან ერთად.**

◎ ადამიანი დროში

## ამაგდარი

**სოფელ ლისში ზაფხულობით უამრავი ჭაბუკი იყრიდა თავს. გლდანელი, დიღმელი, თელეთელი, წყნეთელი და თბილისის შემოგარენის სხვა სოფლების წარმომადგენლები მასპინძლებთან ერთად ღია ცის ქვეშ მკლავისა და მუხლის ძალას უსინჯავდნენ ერთმანეთს. თანატოლებში ჯმუხი ყმაწვილი გამოირჩეოდა, რომელიც იოლად უმკლავდებოდა მეტოქეებს.** უფროსებისგანაც არაერთხელ დაუმსახურებია შექება, მაგრამ **ომზარ შოშიტაშვილს** ჭიდაობაზე არასდროს უოცნებია. ბავშვობიდანვე ხატვა იტაცებდა და მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებელში განაგრძო სწავლა. ერთხელ ფიზკულტურის მასწავლებელმა უთხრა, ჯანიანი ბიჭი ჩანხარ და სასწავლებლის სახელით იქნებ თბილისის პირველობაზე იჭიდაოო. უარი ვერ შეჰკადრა, არადა, დარბაზშიც არასდროს ყოფილა. ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო სუფთად, მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო. მისი ჭიდაობით მოხიბლულ სახელოვან მწვრთნელს – უშანგ ბარნაბიშვილს უკითხავს, ვისთან ვარჯიშობო. არავისთანო, რომ უთქვამს ჭაბუკს, სახტად დარჩენილა ცნობილი ოსტატი.

აქედან დაიწყო ომზარ შოშიტაშვილის სპორტული კარიერა. იმავე წელს მინსკში „შრომითი რეზერვების“ საკავშირო თასის გათამაშებაზე ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედალი ხვდა ვლადიკავკაზში თანატოლთა საკავშირო პირველობაზე. ცხრაჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, სსრკ შეიარაღებული ძალების ხუთგზის პრიზიორია. 1965 წელს „ლოკომოტივის“ საკავშირო პირველობაზეც მეორე ადგილი ხვდა. ორი წლის შემდეგ თბილისის სპორტის სასახლეში იაპონელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ სიმიძუსთან ამხანაგური შეხვედრა ფრედ (2:2ძ დაამთავრა. ასევე, უჭიდავია პოლონელ, ირანელ და რუმინელ ფალავნებთან.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა სპეციალობით დაიწყო მუშაობა, თუმცა უსპორტოდ მხოლოდ სამი წელიწადი გაძლო. 1973 წელს თბილისის ბავშვთა მწვრთნელად დაიწყო მუშაობა.



სამი წელიწადი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი, საქართველოს ჭიდაობის სამმართველოს უფროსი, ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების გენერალური დირექტორი. 1993 წლიდან საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანია.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, ღირსების ორდენოსანი და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორდენის კავალერი ომზარ შოშიტაშვილი ნიჭიერი ორგანიზატორი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული კაცია. „საჭიდაო სკოლის ცოცხალ მემატიანეს“ ნებისმიერ დროს შეუძლია, მოგაწოდოს ყოველგვარი ინფორმაცია, რადგან ოცდახუთი წელიწადია, საქართველოში მოჭიდავეთა თითქმის ყველა ღონისძიება მისი თავკაცობით იმართება. უკონფლიქტო, მუდამ გაწონასწორებული პიროვნება არაჩვეულებრივი იუმორის ნიჭითაცაა დაჯილდოებული. უყვართ და პატივს სცემენ მას, რადგან თავადაც ასეთია – სიყვარულის მთესველი.

**ამაგდარ პიროვნებას, ჭიდაობის ქურუმს ომზარ შოშიტაშვილს ამ დღეებში 65 წელი შეუსრულდა. რედაქციისა და ჩვენი მკითხველების სახელით გულითადად ვულოცავთ იუბილეს!**

**ვაჟა დანელია**

მთელ წიგნს გამჭოლ ზოლად გასდევს ავტორ-შემდგენლის გეზის მიმცემი ჩანართები და საინტერესო კომენტარები, რაც წიგნს მთლიანობასა და კონცენტრიულობას ანიჭებს, რის შედეგადაც მკითხველის წინაშე წარმოსდგება მისი გმირის – შესანიშნავი სპორტსმენისა და პიროვნების ს. კოტრიკაძის ძალზე მიმზიდველი და მრავალმხრივი პორტრეტი



კოლეგა

# დემიკო ლოლაძის ფენომენი

**სიტყვა ფენომენს ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: 1. გამორჩეული, ღირსშესანიშნავი მოვლენა და 2. გამორჩეული თვისებების მატარებელი პიროვნება, ადამიანი.**

ორივე ეს განსაზღვრა თანაბრად ესადაგება დემიკო ლოლაძეს – გამოჩენილ ქართველ ჟურნალისტსა და ფოტომემატიანეს, მრავალმხრივი საზოგადოებრივი და კულტურული ინტერესების ადამიანს, პიროვნული ხიბლით დაჯილდოებულ ჩვენ თანამედროვეს და, რაღა თქმა უნდა, ყველა მის წიგნსა და ფოტოალბომს.

სახელოვანი ქართველი ფეხბურთელებისადმი მიძღვნილ მის 25-ზე მეტ წიგნში არა მარტო ტყავის ბურთის ოსტატთა ადამიანური ან სპორტული პორტრეტებია გაცოცხლებული, არამედ – ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიებიც ბოლო ხუთი ათეული წლის მანძილზე.

ამაში მდგომარეობს, ჩემი აზრით, დ. ლოლაძის მწერლურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის ძირითადი არსი და მნიშვნელობა, მისი წიგნებისა და ფოტოალბომების ჭეშმარიტი ღირებულება.

მოკლედ, ჩვენი ლეგენდარული ანდერძის გადამწერისა არ იყოს: ...„ნაშრომი განძად დაშთების".

როგორც ვთქვი, ბატონი დემიკო მრავალმხრივი პიროვნებაა, მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და იურიდიული ფაკულტეტები, ზ. ფალიაშვილის სახელობის მეორე სამუსიკო სასწავლებელი. იგი არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის, გ. ნიკოლაძის და ი. გოგებაშვილის სახელობის მედლებით, ღირსების ორდენით.

უკვე ამ ჩამონათვალიდანაც ჩანს ბატონ დემიკოს ვრცელი ინტელექტუალური თვალსაწიერი, შემოქმედებითი ინტერესების მრავალმხრივობა, ამავე დროს, მისი ნაღვაწის ფართო საზოგადოებრივი აღიარება და დაფასება.

დ. ლოლაძის წიგნში „დრო და ადამიანები" (თბ. 2006წ, ავტორ-შემდგენლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წარმოდგენილია ბოლო 50 წლის მანძილზე მოღვაწე იმ გამორჩეული ადამიანების პორტრეტები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის თუ სპორტის განვითარებაში. მათ გვერდით შევხვდებით იმათაც, გამორჩეული ცხოვრების წესით, შნოთი და ლაზათით რომ ამშვენებდნენ ჩვენ ყოველდღიურ ყოფას, იყვნენ (და დღესაც არიან) მისაბაძნი და სამაგალითონი".

ჭეშმარიტად, ეს გახლავთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პირუთვნელი პანორამა, სადაც უმდიდრეს პერსონალიასთან ერთად, ადგილი უკავია ისტორიული (ზოგჯერ, დრამატულიც) ფაქტების ამსახველ კადრებს. არც თუ მცირე ადგილი აქვს მიჩენილი საქართველოს კეთილმოსურნეთა ფოტოებს.



დიდ ინტერესს იწვევს წიგნის ბოლო, საკმაოდ დიდი ნაკვეთი სათაურით „საოჯახო ალბომიდან", რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა დროს (მე-19 საუკუნის ჩათვლით) სხვადასხვა პირთა მიერ გადაღებული ფოტოები. ვის არ ნახავთ აქ? მწერლებს, მეცნიერებს, მომღერლებს, რეჟისორებს, მუსიკოსებს, სპორტსმენებს. მათთან ერთად კი გარდასულ დროთა პოლიტიკური მოღვაწეების ავბედით ფიგურებსაც, ძველი და შედარებით უფრო ახალი თბილისისა და სხვა ქალაქების ზოგჯერ უკვე გამქრალ, არარსებულ არქიტექტურულ ნაგებობებს... ამ შესანიშნავი წიგნი-ალბომის შესახებ საუბარს დავამთავრებ მისი მშვენიერი წინასიტყვაობის ავტორის, ცნობილი ჟურნალისტის გიზო ნიშნიანიძის მიმართვით მკითხველებისადმი: „ეზიარეთ ამ ღვთით ბოძებულ ნაშრომს; გაიზიარეთ მისი სიხარულიცა და მწუხარებაც; ორთავ სოფელში დალოცეთ წამსვლელ-დამრჩენი და მადლობა უთხარით მის ავტორს, რადგან კარგი ადამიანის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც – ვინც იხსენებს".

ახლა კი მეორე წიგნის – „სერგო კოტრიკაძის" (თბ. 2006წ შესახებ.

დავიწყებ იმით, რომ გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელებისადმი მიძღვნილი წიგნების თაროზე ნამდვილად გვაკლდა წიგნი ამ ბრწყინვალე მეკარის შესახებ და რა კარგია, რომ დემიკომ – არაერთი ამგვარი ფუნდამენტური გამოცემის ავტორმა – ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს და, საზოგადოდ, სპორტულ ისტორიოგრაფიას შესძინა ახალი შესანიშნავი მონოგრაფია.



სერგო კოტრიკაძე – ქართული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, ჩვენი ლამაზი, ელეგანტური და თვალშეუვლები სერგო, ბრწყინვალე და კეთილშობილი პიროვნება უყვარდა და ახლაც უყვარს ყველას, ვისაც კი ოდესმე უნახავს იგი მოედანზე ან ურთიერთობა ჰქონია მასთან. ამიტომაც არის, რომ იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც დემიკოს გამოუკითხავს წიგნის მომზადებისას, ვხვდებით მწერლებს (წიგნი იწყება დიდი ჭაბუა ამირეჯიბის მისალმებით ს. კოტრიკაძისადმი), მეცნიერებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, მსახიობებს, რეჟისორებს, არქიტექტორებს, კომპოზიტორებს, ერთ მუსიკისმცოდნესაც (ეს მე გახლავართ!) და, საზოგადოდ, სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანებს, რომელთაც აერთიანებს სიყვარული „დიდი თამაშისადმი" და მისი ბრწყინვალე წარმომადგენლებისადმი.

რესპონდენტთა რიცხვი 150-ს აჭარბებს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა კოლოსალური სამუშაო ჩაუტარებია ბატონ დემიკოს ამ ვეებერთელა მასალის შეკრებისა და სისტემატიზაციისთვის.

არ იფიქროთ ოღონდ, რომ მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ შემკრებლობითი მუშაობით იფარგლება. სრულიადაც არა! მთელ წიგნს გამჭოლ ზოლად გასდევს ავტორ-შემდგენლის გეზის მიმცემი ჩანართები და საინტერესო კომენტარები, რაც წიგნს მთლიანობასა და კონცენტრიულობას ანიჭებს, რის შედეგადაც მკითხველის წინაშე წარმოსდგება მისი გმირის – შესანიშნავი სპორტსმენისა და პიროვნების ს. კოტრიკაძის ძალზე მიმზიდველი და მრავალმხრივი პორტრეტი.

წიგნი ორი მთავარი ნაწილისგან შედგება: 1. ს. კოტრიკაძის მოგონებები გამოჩენილი კოლეგების – ფეხბურთელებისა და მწვრთნელების, სპორტული კომენტატორების, დაუვიწყარი მატჩების, სხვადასხვა საინტერესო ეპიზოდების შესახებ და ა. შ. აქვეა ჩართული გულთბილი მოგონებები სერგოს უფროსი ძმის, ცნობილი ფეხბურთელის ალიოშა კოტრიკაძის შესახებ.

ვფიქრობ, რომ წიგნის სწორედ ეს თავია განსაკუთრებით საინტერესო და საგულისხმო, რადგანაც თხრობა მაღალი კლასის პროფესიონალის პოზიციიდან მკითხველს განსაკუთრებით უხვ, ზუსტ და ობიექტურ მასალას აწვდის განსჯისა და გაცნობიერებისთვის.

წიგნის მე-2 თავი – „ფეხბურთის სპეციალისტები, თანაგუნდელები, ჟურნალისტები, მეგობრები და გულშემატკივრები სერგო კოტრიკაძის შესახებ" – ასევე მდიდარი და მრავალფეროვანია, რის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქ თავმოყრილ გამონათქვამებში ვლინდება არა მარტო მათი ავტორების სიყვარული და პატივისცემა სერგო კოტრიკაძის მიმართ, არამედ – მაღალი, „გულშემატკივრული კვალიფიკაციაც". ტყუილად ხომ არ ჰქონდა არც ისე დიდი ხნის წინათ ქართველ ქომაგებს ყველაზე ობიექტურისა და გათვითცნობიერებულის სახელი?

დავამთავრებ იმით, რითიც დავიწყე: დემიკო ლოლაძისადმი ჩემი პატივისცემის გამომხატველი სიტყვებით. მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა არჩეულ ასპარეზზე და, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტსაც გააკეთებს მომავალში.

**გულბათ ტორაძე**

ძიუდო

# „კოკა-კოლამ" და „ჩემპიონმა" ჯიბეზე ხელი გაიკრეს

**საქართველოს ძიუდოისტებმა წლეულს გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში მთავარი პრიზი მოიპოვეს, ევროპის გუნდურ და საკლუბო პირველობებში მესამე ადგილებზე გავიდნენ; ზაზა კედელაშვილმა კონტინენტის ჩემპიონობა დაიმსახურა, ზვიად ხანჯალიაშვილს კი „ბრინჯაო" ერგო.**

ძიუდოისტები ახალი სეზონისთვის აქედანვე ემზადებიან. არც არის გასაკვირი, რადგან გაისად 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები გათამაშდება და ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელთა სურვილია, გუნდი პეკინში სრული შემადგენლობით გაემგზავროს.

მომავალი ბატალიების წინ ძალთა ერთგვარ მოსინჯვას ემსახურებოდა ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა. ასპარეზობის პირველ დღეს სამი წონის ფალავნები ერკინებოდნენ ერთმანეთს. 60 კილოში შარშანდელი ფინალი განმეორდა. ოქროს მედლისთვის ამჯერადაც ვახტანგ ხოსიტაშვილი და დავით ასუმბანი იბრძოდნენ (ტრავმირებული ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი ნესტორ ხერგიანი შეხვედრებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს). შარშან ხოსიტაშვილმა იმარჯვა, კვირას კი ასუმბანა (მწვრთნელი ვაჟა ბალხამიშვილი) პაექრობის დამთავრებამდე ათი წამით ადრე იპონით აჯობა მეტოქეს. მესამე ადგილებზე ბექა შუკვანი და ამირან პაპინაშვილი გავიდნენ.

66 კილოში, ასევე ტრავმის გამო ზაზა კედელაშვილი არ მონაწილეობდა, რამაც პირველი ადგილისთვის ბრძოლა უფრო დაძაბული გახადა. თუმცა, თავიდანვე სერგო ციხელაშვილის (მწვრთნელი გურამ მოდებაძე) უპირატესობა გამოიკვეთა. ფინალში მან ორი ვაზარით სძლია სანდრო იაკობაშვილს. მესამე ადგილზე უჩა ხუციშვილი და გიორგი ფერაშვილი ხვდნენ.

არც 73 კილოში იყო ამ წონის ფავორიტი დავით ქევხიშვილი, რომელმაც ამას წინათ მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ახლა იარას იშუშებს. მის არყოფნაში ჩემპიონობის უდავო კანდიდატად დავით ბოდაველი მიაჩნდათ, მაგრამ მან წუთსა და ორ წამში დათმო ფინალური შეხვედრა ბექა ბაიდაურთან (მწვრთნელი სპარტაკ გორგაძე) და ვერცხლის მედალს დასჯერდა. მესამე ადგილები დავით კობერიძემ და გიგა წიკლაურმა დაიკავეს.

ჩემპიონები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ, ხოლო კომპანია „კოკა-კოლამ" (გენერალური დირექტორი თემურ ჭყონია), სპორტული მაღაზიების ქსელმა „ჩემპიონმა" და ტრენაჟორების სახლმა (გენერალური დირექტორი ვეტერან სამბისტთა შორის ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი უშანგ ყურაშვილი) გამარჯვებულებს, ევროპის საუკეთესო მწვრთნელ შოთა ხაბარელსა და წლის საუკეთესო ძიუდოისტ ზაზა კედელაშვილს ძვირადღირებული საჩუქრები გადასცეს.

**ლექსო ცინცაძე**





**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; ვაჟა ბალხამიშვილი თავის შეგირდს გამარჯვებას ულოცავს.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო**

ორბიტაზე

## ცემა-ტყეპა კალათბურთის მოედანზე

**კონფლიქტი იმით დაიწყო, რომ კალათისკენ ბურთის სატყორცნელად გამზადებულ ჯეი არ სმიტს („ნიუ-იორკი") კისერში სწვდა „დენვერის" მცველი მერდი კოლინზი.** ასეთ უხეშობას რეაქცია წამსვე მოჰყვა. ჩხუბში ჩაებნენ ლიგის სნაიპერი, „დენვერის" ფორვარდი კარმელო ენტონი და „ნიუ-იორკის" მცველი ნეიტ რობინსონი. მალე ცემა-ტყეპამ მასობრივი ხასიათი მიიღო, რაშიც თითქმის ორივე გუნდის მთელი შემადგენლობა მონაწილეობდა. წესრიგის დასამყარებლად მოედნიდან 10 კალათბურთელი გააძევეს.



შეხვედრა სტუმრის – „დენვერის" გამარჯვებით დამთავრდა – 123:100. ფიქრობენ, რომ ლიგის ხელმძღვანელობა მკაცრ სანქციებს გამოიყენებს ჩხუბში მონაწილე კალათბურთელთა მიმართ. მით უმეტეს, რომ კონფლიქტი მოხდა ქალაქში, სადაც მდებარეობს ლიგის კომისრის დევიდ სტერნის შტაბ-ბინა.

## ქორწილისკენ – სრული სვლით

**სწორედ რომ ასეთი ტემპით მიისწრაფოდნენ თავიანთი დიდი სიყვარულის დასაგვირგვინებლად ვარსკვლავთწყვილი – ფეხბურთში ჩილეს ნაკრების თავდამსხმელი მანუელ ნეირა და მსოფლიო მოდელებში ერთ-ერთი ულამაზესი პამელა დიასი.** ქორწილი ადგილობრივი ტელევიზიითაც უნდა გადაეცათ, რაც მაინც და მაინც არ ახარებდა პამელას, რადგან მისი აზრით, ბოლო ხანებში ერთობ მოსუქდა, თანაც ძალზე დაიღალა და ალბათ ტელეეკრანზე ლამაზად არ გამოჩნდებოდა. ეს მანუელს სულაც არ აღონებს, რადგან მიაჩნია, რომ მისი სატრფო ყველგან და ყოველთვის გადასარევი იქნება.

ამ წყვილის ასეთი იდილია ყველას როდი ახარებდა. თუნდაც ამ ორიოდე თვის წინათ ფეხბურთელმა ხუან პაბლო უნედამ ვითომდა კეთილმოსურნედ მანუელს გაანდო, რომ პამელა ყველგან და ყველასთან ღალატობდა მას. მაგრამ ნეირას ეს სასაცილოდ არ ეყო – მე მისი მწამს. ხელს მოვიჭრი, თუ მის ღალატში ვინმე დამარწმუნებს. მე და პამელა კი შინ ხუან პაბლოზე ვიცინით.



№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

# სულიერება

- შეხედულება, თითქოს რაღაც უნდა გიჭირდეს, მონაზვნად რომ აღიკვეცო, სწორი არ არის!
- „საუნჯის" ადმინისტრაციას შენობის მესაკუთრესთან ხელშეკრულება 31 დეკემბრამდე აქვს გაფორმებული. დღეს-ხვალ 31 დეკემბერიც დადგება, მაღაზიის ბედი კი კვლავაც გაურკვეველია.



◎ გზა ტაძრისაკენ

## რატომ მიდიან ქალები მონასტერში?

***დედა ნატალია: — როცა მონაზვნად აღვიკვეცებით, ღმერთს პირობას ვუდებთ, რომ ვიქნებით მორჩილებაში, უპოვარებაში და შევინარჩუნებთ უბიწოებას...“***

ჩემი ნაცნობის ქალიშვილი ანა, წარჩინებული სტუდენტი, შესანიშნავი გოგონა, ყველასაგან მოულოდნელად, მონასტერში წავიდა. ერთ მშვენიერ დღეს მიატოვა მშობლები, უმაღლესი სასწავლებელი, მეგობრები... ყველას გაუკვირდა, რადგან ანა ისეთი მხიარული, სიცოცხლით სავსე, ნიჭიერი და პერსპექტიული გოგონა იყო...

მშობლებმა ეს ამბავი ჯერ „იმტკიცეს", შემდეგ, როცა მონასტერში შვილი მოინახულეს და გაესაუბრნენ, აზრი შეიცვალეს და ამბობენ: „მადლობა უფალს, ჩვენი გოგონა რომ თავისთან იხმოო!"

მაგრამ ყველა ასე როდი ხვდება ქალიშვილის ამ ნაბიჯს. არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ: „უკეთესი იქნებოდა, გათხოვილიყო, შვილები გაეჩინა და გაეზარდაო", და იქნებ, მართლებიც არიან თავიანთი თვალსაწიერიდან...

თუმცა, ვინც ასეთ ნაბიჯს დგამს, ალბათ, იმან ყველაზე უკეთ იცის, სად არის მისი ადგილი, მით უმეტეს, როცა ქალიშვილი სრულწლოვანია, განათლებულია და შეგნებულად აკეთებს ყოველივეს.

ასეთები კი მაინც ერთეულებია. თუმცა, მოდით, სტატისტიკას მოვუხმოთ, ვნახოთ, რამდენი დედათა მონასტერია საქართველოში, რამდენმა ქალმა მიუძღვნა თავისი გული და არსება, თავისი ცხოვრება ქრისტიანულ რელიგიას...

საყურადღებოა, რომ ამჟამად საქართველოში 85 დედათა მონასტერია, რომლებშიც 250 მონაზონი მოღვაწეობს. მათ გვერდით არის, აგრეთვე, ამდენივე მორჩილი და სამონაზვნე.

მონაზვნად აღკვეცს იმ ეპარქიის მღვდელმთავარი, რომლის ტერიტორიულ ფარგლებშიც მდებარეობს დედათა მონასტერი. ასეთი მონასტრები კი რიცხობრივად მცხეთა-თბილისის ეპარქიაში ყველაზე მეტია.

თბილისში, მეტრო „ავლაბართან" ახლოს მდებარეობს ფერისცვალების დედათა მონასტერი, რომელშიც მოღვაწეობს თერთმეტი მონაზონი, სამიც — სამონაზვნე და ექვსი მორჩილი. სულიერი დედების საშუალო ასაკი უფრო ახალგაზრდულია.

რატომ მიდიან ქალები მონასტერში? როდის გრძნობენ, რომ თავისკენ გარდაუვალად ეძახით ტაძარი და საჭიროდ აღარ მიიჩნევენ საერო ცხოვრებას? როგორ ხვდებიან მათ ნაბიჯს მშობლები და ახლობლები? — აი კითხვები, რომლებზეც პასუხის გასაცემადაც ახლა, შობის მარხვაში ვეწვიეთ თბილისის ფერისცვალების მონასტერს და შევეცადეთ, ჩავხედა მონაზვნის სულიერ სამყაროში, მისი სულის სიფაქიზე და რაობა მიგვეტანა ჩვენს მკითხველამდე.

**მონაზონი ნატალია (ბოჩიკაშვილი)** წარმოშობით მესხია. იგი გვიყვება:

— ჩვეულებრივი გოგონა ვიყავი. დავამთავრე უნივერსიტეტი, ვმუშაობდი საგადასახადო ინსპექციაში... 28 წლისა ვიყავი, ეს ნაბიჯი როცა გადავდგი. რატომ? — მართლა არ ვიცი. ღმერთს ასე უნდოდა. უფალი ამბობს, „შენ კი არ გამომარჩიე, მე გამოგარჩიეო". პატიოსანი მშობლები მყავანან, თუმცა, დიდად რელიგიურები არ ყოფილან. მე ეკლესიაში დავდიოდი და ისინი ხვდებოდნენ, რომ გული სულ იქით მიმიწევდა, სოფლის ეკლესიაში ვგალობდი, უკვე აღარაფერი მაინტერესებდა. ჩემთვის ყველაზე კარგი ადგილი ეკლესია იყო და მიხაროდა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა. ეკლესიის მსახურებთან ვპოულობდი სულიერ სიმშვიდეს, ისინი იყვნენ ჩემი სულიერი მეგობრები... შემთხვევით არაფერი ხდება.

**— მონასტრის იღუმენია, ალბათ, ასაკოვანია. აქ ირგვლივ სულ ახალგაზრდა დედებს ვხედავ...**

— არა, დედა მარიამიც ახალგაზრდაა, თუმცა, ძალიან გამოცდილი, ყველას გვიყვარს, ასაკოვანი, ანუ სამოცს გადაცილებული სულ ორი გვყავს. ახლა ჩვენ მოწყალების სახლში ვიმყოფებით. აქ შეუძლოდ მყოფი დედებიც ცხოვრობენ და ახალგაზრდებიც. ჩვენ გაჭირვებულებს ვეხმარებით.

**— საიდან მოდიან აქ ქალები — დიდი სიხარულიდან თუ დიდი ტკივილიდან?**

— მსოფლმხედველობა, რომ რაღაც უნდა გიჭირდეს, და ისე მოხვიდე ეკლესიაში, სწორი არ არის. წარმოიდგინეთ, 23-24 წლის გოგონა, უმაღლესდამთავრებული, პერსპექტიული, რომელსაც არაფერი არ უჭირს, მოდის აქ. ღმერთი გვაძლევს დიდ რწმენას და ამაზე არ ვამბობთ უარს...

**— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენთან მოსული გოგონა უკან გაგიბრუნებიათ? იქნებ, სულაც,**



**სჯობს, რომ ქალმა შვილი გააჩინოს?**

— როცა მონასტერში მოდიხარ და ხდები მონაზონი, უკვე დედას გეძახიან. წარმოიდგინეთ, ჩვენი იღუმენია, დედა მარიამი, რომელიც უკვე თხუთმეტი წელია, მონასტერშია და ფერისცვალების ტაძრის გარდა კიდევ ორი ეკლესია აბარია, ყველა „დედას" ეძახის. ის მრევლისთვის და ჩვენთვისაც არა ხორციელი, არამედ სულიერი დედაა. ადამიანებს კი უამრავი სულიერი პრობლემები აწუხებთ. ყოველ მათ ტკივილზე, შიშზე, საწუხარზე ფიქრობს მონაზონი და სხვისი ტკივილი ტკივა.

რამდენი შვილი უნდა გამეჩინა მე? თორმეტ შვილზე მეტს ხომ არ გავაჩენდი? ახლა კი ამდენი ადამიანი მოდის და მეუბნება: „დედაო"... და ნამდვილად თუ ხარ დედა და ხარ მონაზონი, ლოცულობ მსოფლიოსათვის... ხორციელი დედა ფიქრობს თავის შვილებზე, ჩვენთვის კი ყველა ერთია, ყველას ბედი გვადარდებს. რამდენადაც ღვთის წინაშე დგახარ, მით უფრო მეტად შეგტკივა ყველაზე გული, უფრო მეტად ილვსება ჩვენი არსება სიყვარულით და ეფინება ღვთიური მადლი...

ზოგჯერ ჩვენთან გაჭირვებული, ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანები მოდიან. შეიძლება ოჯახურ პრობლემებსაც გაექცეს ადამიანი, ვერსად იპოვოს სულიერი ნუგეში და მონასტერში მოვიდეს, ამოისუნთქავს, დაინახავს, თუ რა არის ცუდი, რა — კარგი... ყველა ოჯახი ხომ არ არის ქრისტიანული? ზოგან შეიძლება ჯადოქარიც ცხოვრობდეს. მის გვერდით კი ადამიანებს უჭირთ. ასეთები როცა ღმერთს შეიმეცნებენ, დაინახავენ, რომ არსებობს სხვა საზოგადოებაც... მონასტერი გზის არჩევაშიც ეხმარება ადამიანს. ჩვენთან მოვიდა ერთი ასეთი გოგონა. ჩვენ მას დავეხმარეთ. ბევრ რამეში გავარკვიეთ. ის გათხოვდა და ახლა აქვს მშვენიერი, ქრისტიანული ოჯახი, რადგან დაინახა და იცნო ღმერთი.

თუმცა, ვინც მოდის, ძირითადად, კიდეც რჩება მონასტერში. იშვიათია გამონაკლისი...

**— რა პოზიციაზე დგანან იმ გოგონების მშობლები, რომლებიც მონასტერში მიდიან?**

— ძირითადად, მშობლების ლოცვა-კურთხევის გარეშე მოდიან... თუმცა, დრო რომ გადის, მშობლები შვილის არჩევანს ეგუებიან. ღმერთი, ბოლოსდაბოლოს, სიყვარულს ყველას აძლევს, გონებას უნათებს. ერთი დღეც რომ დადგეთ აქ, ნახავთ, რამდენი გაჭირვებული მოდის. გვიყვებიან თავიანთ პრობლემას, ვიღაცას საკვები სჭირდება, ვიღაცას — ტანსაცმელი, წამალი ან მკურნალობა... ფერისცვალების მონასტერი კი მოწყალების მონასტერია. ვცდილობთ, ყველას დავეხმაროთ, ძალიან ვცდილობთ...

**— დედა ნატალია, რით არსებობთ?**

— ძირითადად, კეთილი ადამიანების შემოწირულობებით. სანთელს, ხატებს ვყიდით. ეს, მართალია, ძალზე მცირეა, მაგრამ უფრო მეტად ღმერთი გვეხმარება...

**— კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით? დედა ნატალია, გთხოვთ, გულწრფელად მითხრათ, ზოგჯერ ხომ არ ნანობთ საერო ცხოვრების მიტოვებას?**

— არა, არ ვნანობ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ მონასტერში. ბედნიერი ვარ, რომ ეს გზა ავირჩიე, თუმცა, მივიჩნევ, რომ მაინც შორს ვარ ჭეშმარიტი მონაზვნობისგან, რადგან ის კიდევ უფრო დიდია... მიხარია, რომ ღმერთმა მომიყვანა მონასტერში. ვეცდები, ისე ვილვაწო, რომ მართლაც ჭეშმარიტი მონაზონი ვიყო...

როცა მონაზვნად აღვიკვეცებით, ღმერთს პირობას ვუდებთ, რომ ვიქნებით მორჩილებაში, ვიქნებით უპოვარებაში და შევინარჩუნებთ ქალწულობას — უბიწოებას.

მეგობარი რომ რაღაცას შეგპირდებათ და არ შეგისრულებთ, სიტყვას გატეხს, ხომ არ მოგვწონს, ხომ ვამბობთ, რომ არასანდოა, უპირობოა?.. წარმოიდგინეთ, ღმერთს რომ რაიმეს დავპირდებით და მერე უარვყოფთ!.. ეს საშინელებაა და ამას არავის ვუსურვებთ. გახდე მონაზონი და შემდეგ ისევ დაუბრუნდე საერო ცხოვრებას? — ეს ნიშნავს იმას, რომ ღმერთმა მოგცა უდიდესი განძი და შენ მოგინდეს, ვთქვათ, ტალახი!.. თუ ვინმეს ასეთი რამ დამართნია, ღმერთმა შეიწყალოს და ჩვენ კიდევ, ვინც ამ გზაზე მივდივართ, ღმერთმა გაგვაძლიეროს, რომ ასეთი რამ არასდროს მოგვივიდეს!..

* * *

დედა ნატალია ჯერ ისევ ახალგაზრდაა. მასთან საუბარი გამშვიდებს და გამხნევებს. ფერისცვალების მონასტერში ირგვლივ ყველაფერი სუფთა და კრიალაა, ხოლო ტაძრის კედლები დედების ლოცვითაა გაჯერებული. ამ შობის მარხვაში ლოცვასა და სათნოებაში ათენ-აღამებენ მონაზვნები...

**ლია ჭილლაძე**

◎ დავა

## იპოვის „საუნჯე" დაკარგულ სამართალს?

### 922 კვადრატული მეტრი რაღაც ათას დოლარად

**დიდი ხანია, ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს (სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ ნაწილს!) აინტერესებს, როგორ გადაწყდება წიგნის მაღაზია შპს „საუნჯის" ბედი — დარჩება იგი ქართული კულტურის ერთ-ერთ საჩინო კერად თუ „სონის" მფლობელობაში გადავა...**

არადა, აგერ, ას წელზე მეტია, წიგნის მაღაზია ახარებს ჩვენს თვალ-გულს, ამშვენებს რუსთაველის პროსპექტს. იგი, სხვა მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტებთან ერთად, ქალაქის მთავარი მაგისტრალის სამშვენისად იქცა. და აი, შეიძლება დადგეს დღე, როცა მის არსებობას წერტილი დაესმება, რადგან, როგორც ერთმა ჩინოსანმა ბრძანა, „ყველაფრის გაყიდვა შეიძლება".

დეკემბრის დამდეგს ერთხელ კიდევ შევიარე „საუნჯეში" და დირექტორი შოთა ბერიძე მოვიკითხე. მითხრეს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დაიბარესო. არც ორი თუ სამი დღის შემდეგ დამხვდა — ქალაქის სასამართლოში გახლავთო. ბოლოს, როგორც იქნა, წუთიერად შევისწარი თავის პატარა კაბინეტში — ისევ სადღაც მიეჩქარებოდა. მიეჩქარებოდა, ოღონდ არა პირად საკითხზე. სახელდახელო ინტერვიუ მაინცდამაინც სასიამოვნო არ გამოდგა:



**ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ილია გოცირიძე შეუვალი გამომდგარა — პრეზიდენტის განკარგულებით მაღაზია უკვე კერძო მესაკუთრის მზია კაკაბაძისაა და საჩქაროდ უნდა დასცალოთო.**

თქმა არის ადვილი — სასწრაფოდ დასცალეთო, თორემ, შესრულებისა რა მოგახსენოთ! მხედველობაში მაქვს როგორც კოლექტივის თანხმობა, ისე ათიათასობით წიგნისთვის ბინის მიჩენა. შვიდი თუ რვა წელიწადია, „საუნჯის" კოლექტივი იბრძვის თავისი უფლებებისთვის, მაღაზიას ჩვენ თვითონ შევისყიდითო, მაგრამ კანონი, რომლითაც ეს უპირატესობა ენიჭება, აშკარად უძლური გამოდგა.

„საუნჯის" კუთვნილ შენობაში უნდა გადმოვიდეს მაღაზია „სონი", რომელიც ამჟამად იუსტიციის სამინისტროშია განთავსებული. როგორც შოთა ბერიძე განმარტავს, „სონი" იქ მესაკუთრეა, მაგრამ საკმაოდ სოლიდურ თანხას ვერ უხდიან. შენობაც იმავე მზია კაკაბაძის საკუთრება ყოფილა, ამიტომ ამ ქალბატონს ან ბიუჯეტიდან უნდა მისცენ ფული, ან შესაბამისი ფართობით უზრუნველყონ. აღგნენ და „საუნჯის" 922 კვადრატული მეტრი ბინა რაღაც 1000 (ათას!!) დოლარად მიჰყიდეს. **გარიგება ისე მოხდა, რომ არც შოთა ბერიძისა და არც მისი თანამშრომლებისთვის თუნდაც ზრდილობის ნიშნად არაფერი უკითხავთ.** „საუნჯის" ადმინისტრაციამ თავისი უფლებების დაცვა საქალაქო სასამართლოს სთხოვა. 13 დეკემბერს მოსამართლე ნათია ჯორბენაძემ სარჩელი წარმოებაში განსახილველად მიიღო. შეჰპირდნენ, მორიგი პროცესის შესახებ დამატებით გაცნობებთო.

„საუნჯის" ადმინისტრაციას შენობის მესაკუთრესთან ხელშეკრულება 31 დეკემბრამდე აქვს გაფორმებული. დღეს-ხვალ 31 დეკემბერიც დადგება, მაღაზიის ბედი კი კვლავაც გაურკვეველია.

რა მოხდება 31 დეკემბრის შემდეგ?

**სამწუხაროდ, ასეთი პასუხგაუცემელი კითხვა ბევრი დაგროვდა, უმეტესად შემოქმედებითი კავშირების ორგანიზაციებისთვის. კანონი ისე ჭრის და კერავს, როგორც დაინტერესებულ პირებს სურთ და არა ისე, როგორც შავით თეთრზე წერია.**

ვითომ დაირღვევა ტრადიცია?

**გური ჯანელია**

● ერთი წლის მანძილზე „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ უამრავი ცნობილი თუ უცნობი ავტორის რომანი, მოთხრობა, ნოველა, ლექსი, თარგმანი თუ გამოკვლევა გამოაქვეყნა. ის უკვე იქცა ერთგვარ ორიენტირად განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ამ არეულ დროში აღარ იცოდა, საით აეღო გეზი, რომელ ნაპირს მისდგომოდა




◎ გუშინდელი ფოსტიდან

# ვმართავ, ვმართავ ამ ოხერ ვარსკვლავს, მაგრამ ვერაფერს ვხდები...

## როგორ მოვიგოთ 5 „შევროლე“, 5 „ნივა“ და სხვა მრავალი პრიზი

როგორც ჩანს, მთავარი მაინც ის არის, რა ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, თორემ ბედის ვარსკვლავის მართვა მართლა რომ შეიძლებოდეს, ჩვენ ვინ დაგვაცლიდა... ჩვენს სამართავ ვარსკვლავებსაც ისევ ისინი მართავდნენ, ვინც დღედაღამ მოგვიწოდებს (ტელეეკრანიდან, გაზეთებიდან, სხვადასხვა რადიოთიძ, უეცარი გამდიდრება თუ გინდა, მართე ვარსკვლავიო, ოღონდ შენი კი არა, ჩვენი ვარსკვლავიო...

არადა ძნელი არ გეგონოთ, სულ ადვილი სამართავია: შეაგროვეთ „კომეტის“ კოლოფის სამი ცალი პანელი შტრიხკოდით, შეავსეთ სამონაწილეო ბარათი, ჩააბარეთ საქართველოს ნებისმიერ დასახლებულ ადგილს (მისამართი მითითებულია სარეკლამო ფურცლებზეძ და გახდით „კომეტის“ გათამაშების მონაწილე.

### ჯირი დანახული ჯობს

შეგონება რომ უფრო დამაჯერებელი იყოს და მოგების წყურვილიც გამძაფრდეს, გათამაშების პირობებში საგანგებოდ აღნიშნულია: გათამაშებაში მონაწილეობა არ შეუძლიათ და პრიზების გათამაშებაზე დასწრების უფლება არა აქვთ 18 წლამდე ახალგაზრდებს. კომპანია „ოჯთ“-ს (მიდი და გაშიფრე, თუ ბიჭი ხარ!ძ და სხვა კონტრაქტორი ორგანიზაციების თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროექტში და მათი ოჯახის წევრებს, გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ. ყველა შევსებული ბარათი არის ორგანიზატორის საკუთრება და გათამაშების მონაწილეებს არ დაუბრუნდებათ. გაუგებრად ან არასწორად შევსებული ბარათები გაბათილდება. ერთი ბარათი იძლევა მხოლოდ ერთი პრიზის მოგების საშუალებას.

გარდა 5 „შევროლისა“ და 5 „ნივისა“ და სხვა მრავალი პრიზისა, კონკრეტულად გვისახელებენ კიდევ 25 სონის მუსიკალურ ცენტრს, 20 კოდაკის ციფრულ კამერას, 110 მობილურ ტელეფონ მოტოროლას...

ერთი სიტყვით, ცდუნება დიდია.

თითო კოლოფი „კომეტი“ 1 ლარი ღირს. მონაწილეობისთვის, როგორც უკვე ვთქვი, სამი ცალი პანელი თავის შტრიხკოდით უნდა შეაგროვო. მეც ავდექი, სამის მაგივრად ოთხი შევაგროვე, 12 ლარი გადავიხადე. სამონაწილეო ბარათის ჩაბარების ბოლო ვადა 5 დეკემბერი იყო, პრიზების გათამაშება 12 დეკემბერს გაიმართა. როგორც გათამაშების პირობებიდან შევიტყვეთ, პრიზები გაიცემა გათამაშების დასრულებიდან სამი კვირის განმავლობაში. გაჭირვება ზოგს დედოფალთან კი აწვენს, მაგრამ მე ისევ ლატარიებში მონაწილეობის იმედად ვარ. ხან რომელ ლატარიაში ვმონაწილეობ, ხან რომელში, თანაც ნასესხები ფულით...

ვნახოთ, „კომეტის“ ვარსკვლავმა იქნებ გამიმართლოს. „შევროლესა“ და „ნივის“ იმედი ნამდვილად არა მაქვს. ნეტავი ჩემი 12 ლარიც არ დავკარგო.

რახან გვარად ლატარია ვარ, არ ვიცი, ცრუ თუ ბრმა რწმენა გამიჩნდა, იქნებ ღმერთმა გადმომხედოს და ცხოვრებაში ერთხელ მეც „გავარტყა“ და იოლად რამე მოვიგო, ბედს ვეწიო-მეთქი...

ისე, საერთოდ, გეკითხებით, პატივცემულო რედაქცია, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ასეთი მართლაც იოლი გზით ახერხებს მილიონების შოვნას? და ამ საქმეს ლატარიის გარდა კიდევ სხვა სახელიც ხომ არ ჰქვია?

**ნუგზარ ლატარია,**
ლტოლვილი.

◎ წარდგინება

# თორმეტი ნომერი — თორმეტი სიხარული

## ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ ერთი წლის გახდა






ზუსტად ერთი წელია, რაც საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოდის. ვერ ვიტყვი, რომ მკითხველები ტაციობენ და ტირაჟი დახლებზე არ რჩება, მაგრამ იმის თქმა კი დაბეჯითებით შეგვიძლია, რომ ბევრმა იგემა და ჯეროვნად დააფასა მისი როგორც პოლიგრაფიული დონე, ისე შინაარსი. ამ ერთი წლის მანძილზე „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ უამრავი ცნობილი თუ უცნობი ავტორის რომანი, მოთხრობა, ნოველა, ლექსი, თარგმანი თუ გამოკვლევა გამოაქვეყნა. ის უკვე იქცა ერთგვარ ორიენტირად განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ამ არეულ დროში აღარ იცოდა, საით აეღო გეზი, რომელ ნაპირს მისდგომოდა...

14 დეკემბერს ჟურნალის გამომცემლებმა მკითხველს საშუალება მისცეს, რომ განვლილ ერთ წელიწადში გამოცემული თორმეტივე ნომერი ერთად ეხილა. წარდგენაზე მობრძანდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომლის ლოცვა-კურთხევითაც „ლიტერატურა და ხელოვნების“ პირველმა ნომერმა იხილა დღის სინათლე. კათოლიკოს-პატრიარქმა კვლავაც დალოცა ჟურნალი, მისი რედაქცია, მკითხველები, ისაუბრა იმ გზებზე, რომლებმაც ქართველი მკითხველი წიგნთან, ლიტერატურასთან უნდა დააბრუნოს. ამგზაზე შეიძლება გამოგვადგეს დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“ — როგორც ფერეიდნელი ქართველი იტყვის, „ღმერთს ებარებოდეს“, — ბრძანა ილია მეორემ.

ჟურნალის განვლილ გზასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა ვაჟა ოთარაშვილმა, მთავარმა რედაქტორმა ტარიელ ხარხელაურმა, მათ მადლობა გადაუხადეს მეცენატს გია ჯოხთაბერიძეს, რომელმაც ჟურნალის თორმეტივე ნომრის გამოცემა დააფინანსა.შემოქმედებითი კოლექტივის შრომას გულთბილი შეფასება მისცეს პროფესორებმა ნათელა ურუშაძემ, დენიზა სუმბაძემ, კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა, პოეტებმა ჯანსულ ჩარკვიანმა, ზაზა ქინქლაძემ, ჟურნალისტმა მერაბ ბერაძემ.

**გური ჯანელია**



და ლია (ამალიაძ ქადიეშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაეცვალა ერთადერთი ძმა
ტრისტან ქადიეშვილი
დაკრძალვა 19 XII, 15 სთ. ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში.

---

უახლოესი მეგობრები ირინა ღლონტი, ვალიდა ჩხაიძე და თინა ხომერიკი თანაუგრძნობენ ლია (ამალიაძ ქადიეშვილს და მთელ მის ოჯახს ყველასათვის საყვარელი პიროვნების
ტრისტან ქადიეშვილის
უდროოდ დაღუპვის გამო.

---

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ნანა მახარაძეს დედის
დოდო გაგუას
გარდაცვალების გამო.

---

დედა დალი გურაშვილი, მამა გივი ლაპიაშვილი, ძმა მიხეილ ლაპიაშვილი, შვილები გიორგი, შალვა ოზაშვილები, ბებია თამარ, დეიდა ციალა გურაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამარ (თამუნაძ ლაპიაშვილი
დაკრძალვა 19 XII, 13 სთ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №2.

---

სპარტაკ, მანანა, სოფო, მაკა ლაპიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დალი და გივი ლაპიაშვილებს შვილის
თამუნა ლაპიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე კორნელი, შვილები თამარ, კახაბერ კილურაძეები, სიძე ირაკლი ტურძელაძე, რძალი ნინო ხუჯაძე, შვილიშვილები გიორგი, თამარ, თინათინ, ანანო, თეკლა, ძმა რევაზ თათარაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამარ ავთანდილის ასული თათარაძე
პანაშვიდი 19, 20 XII, 16 სთ. გამოსვენება 21 XII, 14 სთ. მის. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 25ა, I სადარბაზო.

◎ გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდი. ვცხოვრობ თბილისში. მეკუთვნის თუ არა უფასო სამედიცინო პოლისი?**

**ლევარსი ბიბილეიშვილი**

**პასუხი:** კანონის თანახმად ომის ინვალიდები სარგებლობენ უფასო სამედიცინო პოლისით.

* * *

**კითხვა: ვარ 57 წლის, მაქვს 32 წლის შრომის სტაჟი. ამ რამდენიმე თვის წინათ ყოვლად უმიზეზოდ გამათავისუფლეს სამუშაოდან, ვითომდა რეორგანიზაციის მოტივით.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა ჩემი სტაჟის მქონეს, რაიმე სახის პენსიის მიღების უფლება?**

**ელეონორა გიორგაძე**

**პასუხი:** ქალბატონო ელეონორა, მოქმედი კანონის თანახმად პენსიის დანიშვნა დამოკიდებულია არა შრომის სტაჟზე, არამედ ასაკზე. ქალებს მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ 60 წლის ასაკში, ხოლო ინვალიდობის პენსია მხოლოდ იმ პირებს მიეცემათ, რომლებიც სამედიცინო-სოციალური ექსპერტების ბიუროს მიერ ცნობილი არიან I ან II ჯგუფის ინვალიდად.

* * *



**კითხვა: ვარ 61 წლის ქალი, არასოდეს არსად არ მიმუშავია, ვუვლიდი ოჯახს და გავზარდე 3 შვილი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა ასაკის პენსია?**

**ლალი მინდელი**

**პასუხი:** შეკითხვაზე აღნიშნული პირობის მიხედვით პენსია გეკუთვნით და მისი დანიშვნის თაობაზე, გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

# განცხადება

**2007 წლის 10 იანვარს 14 საათზე ჩატარდება ს/ს „მუხნარის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სს მუხნარის 2006 წლის გაწეული მუშაობის შესახებ;
2. სს მუხნარის რეორგანიზაციის შესახებ;
3. აუდიტის ჩატარების შედეგების შესახებ;
4. 2007 წლის სამუშაო გეგმის განხილვა;
5. სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის არჩევნები.

**მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №282.**

---

**შპს „ავტოგაზდილომი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ბელიაშვილის ქ. №30 (მიონის მოპირდაპირედძ. ტელ: 52-63-63.**

---

**შპს „ძალისი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფ. ძალისი.**
**ტელ. 893 73-11-10, 899 46-05-43.**

გზა – კარგა ხნის წინათ, დიდი ექვთიმეს სოფელ ლიხაურიდან დაწყებული, გიზო ჭელიძეს გვაცნობს, როგორც მახვილკალმოსან ჟურნალისტს, ქართული კლასიკური ლექსის ერთგულ თვითმყოფად პოეტს, გამორჩეული იუმორისტული ნაწარმოებების, ქართველთა წარმოშობის, ქართული ფოლკლორის შესახებ გამოკვლევების, საინტერესო მხატვრული რომანების ავტორს...



№ 252. სამშაბათი, 19 დეკემბერი, 2006 წელი.

## დღესასწაული

# დღეს ნიკოლოზობაა



19 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ნიკოლოზობის დღესასწაულს აღნიშნავს. ნიკოლოზი – იყო მირონლუკიის მთავარეპისკოპოსი. მას შემდეგ, რაც რომის იმპერატორი გახდა ქრისტიანი კონსტანტინე დიდი, ქრისტიანთა დევნა აიკრძალა და სხვა სასულიერო პირებთან ერთად, საპყრობილედან გაათავისუფლეს მღვდელმთავარი წმინდა ნიკოლოზი.

... კონსტანტინე დიდმა 325 წელს ქალაქ ნიკეაში მოიწვია I მსოფლიო საეკლესიო კრება (ამ თავყრილობას საქართველოდან ესწრებოდა ბიჭვინთის მთავარეპისკოპოსიძ. კრების მონაწილე ბევრი ეპისკოპოსი წმინდანად შეირაცხა, მათ შორის – წმინდა ნიკოლოზიც.

ამბობენ, რომ ნიკოლოზს თურმე თვითონ უფალმა გადასცა სახარება, ხოლო დედა ღვთისმშობელმა კი – ომოფორი.

მოგვიანებით ნიკოლოზი გაემგზავრა ლუკიის დედაქალაქ მირონში, მისთვის უცხო ადგილზე, რათა იქაურებისთვის ესწავლებინა უფლის გზა.

წმინდა ნიკოლოზი აღესრულა 342 წლის 19 დეკემბერს, 85 წლის ასაკში. მისი ცხედარი დაკრძალეს ქალაქის საკათედრო ტაძარში, შემდეგ გადაასვენეს იტალიის ქალაქ ბარში.

**წმინდა ნიკოლოზი როგორც სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც ეხმარება მორწმუნეებს. მისი უხრწნელი სხეულიდან დღემდე მოედინება კეთილსურნელოვანი მირონი, მის საფლავთან მრავალი სასწაული აღესრულება, წმინდანი ეხმარება მასთან მიმავალ მლოცველებს.**

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## ინფორმაცია

# „კუკუშკას“ დაელოდებათ

**თბილისი-ბორჯომის მიმართულებით, დღეიდან ახალი ჩქაროსნული ელექტრომატარებელი იმოძრავებს.**



„საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, რომ კომფორტული ელექტრომატარებელი თბილისის ცენტრალური ვაგზლიდან ყოველ დილით, 9:45 წთ-ზე, ხოლო ბორჯომის სადგურიდან – 17 სთ-ზე გავა. მატარებელი თბილის-ბორჯომის მარშრუტის გავლას 2 საათსა 50 წუთს მოანდომებს.

ბაკურიანში მიმავალ მგზავრებს საშუალება ექნებათ, ბორჯომის სადგურში გადასხდნენ ე.წ. “კუკუშკაში“, რომელიც თბილის-ბორჯომის ელექტრომატარებლის ჩასვლიდან 15 წუთში გეზს ბაკურიანისაკენ აიღებს.

ელექტრომატარებლით მგზავრობის ღირებულება 6 ლარია.

**ინტერპრესნიუსი**

## შაბათ-კვირის ჩანახატები

# გულმზიანი კაცის საღამო



**თბილისური სარდაფების გამშვენიერება-გაკოხტავება, შიგ მშვიდი, სალონური გარემოს შექმნა (თეატრებს აღარ ვამბობძ, შეიძლება ითქვას, მოდაში შემოვიდა. გასულ შაბათს ჩუბინაშვილის ქუჩაზე, მაგალითად, ერთ-ერთი ძველი საცხოვრებელი სახლის ქვემოთ, ისეთ კოხტა დარბაზში აღმოვჩნდით, ჭეშმარიტად, მოულოდნელი იყო. ესეც ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი კულტურის ცენტრი, რომელიც კარგ თბილისელ კაცს, პოეტსა და მამულიშვილს გარი ჩაფიძეს დაუარსებია.** აქ, ხშირად იმართება სხვადასხვა საყურადღებო კულტურული ღონისძიება, ხოლო, დღეს, იგი ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გიზო ჭელიძესა და მის სამეგობრო-საახლობლოს მასპინძლობს. ჩვენი გიზო – მარად პირღიმილიანი, გულშუქიანი შუმი გური – 75 წლისა გახდა და ამ მყუდრო გარემოში, სულ ოთხმოციოდე (აქაურობა მეტს არ იტევსძ „შინაურ“ კაცში ამჯობინა თავისი განვლილი გზის გახსენება. ოსტატურად მიჰყავდა საღამო კულტურის ცენტრის დირექტორს გულნაზ ხარაიშვილს. იუბილარის კასკასა იუმორისა და ენამახვილობის წყალობით გაერთიანდა სცენა და დარბაზი. აბა, რევაზ მიშველაძე და სოკრატ სალუქვაძეო, აბა, ბორის დარჩია და ვაჟა ეგრისელიო, აბა, შარლოტა კვანტალიანი და ტარიელ ხავთასიო... გიზო ჭელიძის ერთ-ერთი ლექსი ჩვეული დიდოსტატობით წაიკითხა ძვირფასმა ზინა კვერენჩხილაძემ. ჩვენი კეთილაღნაგი იუბილარი, 75 წლისას სულაც რომ არ ჰგავს, ეშხში შევიდა და მშვენიერ ლია ნაროუშვილთან კაფია გამართა (თურმე, ნება ჰქონია დართული მეუღლისგან, ქალბატონ ნათელასგან, რომელმაც ორი შესანიშნავი ვაჟიშვილი აღუზარდა გიზოს და, რომელიც კეთილი ღიმილით ადევნებდა თვალს ამ სასიამოვნო გარემოსძ...

გამოვიდა ერთ-ერთი ვაჟიც იუბილარისა – ედიშერი, ცნობილი თეოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. აბა, საჩუქარი იმას უძღვნია ძვირფასი მამისთვის – საიუბილეო დღეებში ვაჟიშვილი შესძენია (რომელიც, ღვთის ნებით, ოთხმოც წლისთავს მიულოცავს საყვარელ ბაბუას, ჯერ კი მისმა დაიკომ – ქეთევანმა ლექსით გაახარა ჩვენი გიზოძ.

დღეს, მართლაც იშვიათია ასეთი მრავალმხრივი ეროვნული მოღვაწე. გზა – კარგა ხნის წინათ, დიდი ექვთიმეს სოფელ ლიხაურიდან დაწყებული, გიზო ჭელიძეს გვაცნობს, როგორც მახვილკალმოსან ჟურნალისტს, ქართული კლასიკური ლექსის ერთგულ თვითმყოფად პოეტს, გამორჩეული იუმორისტული ნაწარმოებების, ქართველთა წარმოშობის, ქართული ფოლკლორის შესახებ გამოკვლევების, საინტერესო მხატვრული რომანების ავტორს... მარტო წელს გიზო ჭელიძის ოთხი წიგნი გამოვიდა, რომელთაგან სამი – „ვინ არიან მეგრელები?“, „ქართველები კაცობრიობის კარიბჭესთან“ და „უკეთუ დაგივიწყო ისრაელო!“, სამეცნიერო ხასიათისაა, ხოლო – მეოთხე, – „ჯიმაჩიფალი“ – სქელტანიანი რომანია და როგორც იმ დღეს დარბაზში განაცხადეს, ერთობ საინტერესო და საყურადღებო. ეს წიგნები მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოუცია საგამომცემლო ცენტრ „ინოვაციას“ და მისი დამაარსებლის, ცნობილი ჟურნალისტისა და მამულიშვილის ზაურ ნაჭყებიას დიდად მადლიერია ჩვენი გიზო.

ერთი სიტყვით, კარგი საღამო გამოვიდა.

სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან გულმზიანი, კეთილშობილი კაცი იყო მისი მიზეზთა-მიზეზი.

# ლოცვით ნაფერები ფერები

**მაია ტყემალაძე ჩვენთა ძველთა დედათა სადარი ჭიათურელი ქალია. ბედნიერება მქონდა, ამ ორი წლის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ერთი-ორი თბილი სიტყვა მეთქვა მისი გასაოცარი შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ. მაია – ჟურნალისტი, მაია – პოეტი, მაია – მხატვარი, სრულიად გამორჩეულია.** იგი ლოცვა-კურთხევითა და ფერებით სცემს ჭიათურაში ლიტერატურულ გაზეთ „საშევარდნოს“, გაზეთს, რომლისნაირი პრესა დღეს არავის სჭირდება! იგი დაჟინებით სცემს, დიდ სულიერებას აქსოვს ყოველ გვერდში და, ვისაც ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, სულიერებისა კიდევ სჯერა, ჭეშმარიტ სიამოვნებას აზიარებს, აქვე ბეჭდავს იგი თავის პოეტურ ნააზრევსაც, ხოლო, რასაც მაია იმერეთის მიწის გულიდან აკრეფილამძივებული ბუნების ქმნილებებით, ნიჟარებით და სხვა ათასფერადი მასალით ქარგავს და ამზადებს (ერთ-ერთი ამ სურათზეცაა ნაჩვენები), ხელოვნებათმცოდნეთა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია,



დამთვალიერებელი კი ამ ნამუშევრებს არ მოჰკლებია რამდენჯერმე რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზში. გასულ კვირასაც გაიხსნა მაიას ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა რუსთაველის საზოგადოების დარბაზში, ნიჭი და გარჯა შეუქეს ჭიათურელებმა და თბილისელებმა მაია ტყემალაძეს, ხოლო შემდეგ დიდი სიამოვნებით დაათვალიერეს ნამუშევრები.

...ჭეშმარიტად, გამორჩეული შაბათ-კვირა იყო!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ანეკდოტები



– აი, გავალ პენსიაზე და ჩემს მეორე წიგნსაც დავამთავრებ.
– ო, თქვენ წერთ?
– არა, ვკითხულობ...

* * *

– სარა ისაკის ასულო, თქვენ ებრაელი ხართ!
– საიდან დაასკვენით?
– საიდან და... ისაკი ხომ ებრაული სახელია?
– თქვენ რა, გინდათ თქვათ, რომ ისაკის ტაძარი სინაგოგაა?

* * *

– მიხო, თავმჯდომარემ შემოგითვალა, მატყლის დამზადების გეგმას ვერ ვასრულებთ და ეგეთი ხშირი თმა რომ გაქვს, გადაიპარსეო.
– მაგან, იქნება კიტრის ჩაბარების გეგმაც ვერ შეასრულოს?..

* * *

თერძმა თავისი შვილი სახელოსნოში მოიხმო:
– შვილო, მოვილაპარაკოთ, შენ მეცნიერების შესწავლა გინდოდა. კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტები დაამთავრე, ჰარვარდის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხი დაიცავი და დაგვიბრუნდი. უკვე გაიზარდე და, ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, ქალის ტანსაცმლის მკერავი იქნები თუ მამაკაცისა?

## კადრი



**მკითხველთა საყურადღებოდ: დღეიდან ჩვენი ახალი ელექტრონული ფოსტის მისამართია – sakresp@ayety.ge.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.